სპორტი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 17 ივლისი 2006 №162 (2784) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩა უგულავა: ჩიხრაძე რეალურია

ნალჩიკელ მეკარეს ქართველობამდე ანკეტა დარჩა

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲮᲓᲔᲑᲐ. ᲦᲘᲠᲡ: ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲮᲓᲔᲑᲐ!

ᲒᲐᲖᲐᲠᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲣᲡᲢᲐᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ

ᲤᲝᲢᲝ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ქართველმა 20-წლამდელმა კალათბურთელებმა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის პირველი ეტაპი წარმატებით დაძლიეს. ჯგუფში ფინეთთან სადებიუტო მარცხის შემდეგ დავით უსტიაშვილის შეგირდებმა ფხა გამოიჩინეს და შაბათს ისლანდიის ძლევის შემდეგ გუშინ ვითომყოჩაღი ჰოლანდია 42 ქულით დაზურგეს. ქართველებმა ფინეთის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს და A დივიზიონში გადასვლისთვის ბრძოლას მეოთხედფინალურ ჯგუფში გააგრძელებენ, სადაც მათი მეტოქეები იქნებიან პოლონეთი, უკრაინა და ჩეხეთი. პირველი მეტოქე ჩეხეთია, რომელსაც უსტიაშვილის გუნდი ხვალ შეხვდება.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲔᲠᲘᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲧᲣᲠᲝᲗ

მას შემდეგ, რაც სასამართლომ დამნაშავეებს საკადრისი მიუსაჯა, იტალიის სერია A-ში და სერია B-ში ცვლილებები მოხდა. „მილანს“ წინა სეზონის მონაგარიდან 44 ქულა ჩამოაჭრეს და ამიტომაც აღმოჩნდა ცხრილის შუაში. თუკი „ემპოლი“ სათანადო ლიცენზიას ვერ აიღებს, „მილანს“ უეფას თასზე თამაშის შანსი ექნება, რადგან „ემპოლის“ ადგილს დაიკავებს.

რაც შეეხება B-ში გავარდნილ „იუვეს“, „ფიორენტინას“ და „ლაციოს“ — ამათგან უმძიმეს მდგომარეობაში „იუვენტუსია“, რომელმაც მინუს 30-ით უნდა დაიწყოს, თუმცა მწვრთნელი დიდიე დეშანი მაინც იმედიანადაა. ამბობენ, რომ ფაბიო კანავარო და ჯანლუკა ძამბროტა მადრიდის „რეალში“ გადადიან, სადაც ფაბიო კაპელო ელითო. დონ ფაბიო ხომ ორიოდ კვირაა, რაც „იუვედან“ „რეალში“ გადაბრძანდა.

სერია A 2006-2007
ინტერი
რომა
კიევო
პალერმო
ლივორნო
ემპოლი
პარმა
ასკოლი
უდინეზე
სამპდორია
რეჯინა
კალიარი
სიენა
მესინა
ლეჩე
ტრევიზო
ატალანტა
კატანია
ტორინო
მილანი (-15 ქულა)

სერია B 2006-2007
მანტოვა
მოდენა
ჩეზენა
არეცო
ბოლონია
კროტონე
ბრეშა
პიაჩენცა
პესკარა
ბარი
ტრიესტინა
ვერონა
ვიჩენცა
რიმინი
ალბინოლეფე
ნაპოლი
ფროზინონე
სპეცია
ჯენოა
ლაციო (-7 ქულა)
ფიორენტინა (-12 ქულა)
იუვენტუსი (-30 ქულა)

ფოტო: ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის

უჩა უგულავა: ჩიხრაძე რეალურია

ნალჩიკელ მეკარეს ქართველობამდე ანკეტა დარჩა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ნალჩიკის „სპარტაკის" მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე მალე ალბათ საქართველოსა და რუსეთის ანუ ორმაგ მოქალაქეობას მიიღებს და ჩვენს ეროვნულ გუნდში ითამაშებს.

ჩიხრაძისთვის ორმაგი მოქალაქეობის მიღების ხელისშემშლელი ჯერჯერობით მხოლოდ ამ ფეხბურთელის კლუბია — ნალჩიკის „სპარტაკი", რომლის ხელმძღვანელობაც შიშობს, რომ ქართული პასპორტის მიღების შემთხვევაში მეკარე რუსეთის მოქალაქეობას დაკარგავს და კლუბისთვის კიდევ ერთ ლეგიონერად ჩაითვლება. რუსეთის მოქალაქეობის დათმობა არც თავად ფეხბურთელს სურს, ვინაიდან, მისივე თქმით, ის კლუბში დაკარგავს ხელფასს, საპენსიო უზრუნველყოფასა და სხვადასხვა შეღავათს. თუმცა ალექსანდრე ჩიხრაძე თავადაც ძალიან მოწადინებულია საიმისოდ, რათა ორმაგი მოქალაქეობა მიიღოს და საქართველოს ნაკრებში ითამაშოს.

ამასობაში კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იმ საბუთებს ამზადებს, რომლებიც ნალჩიკის „სპარტაკის" ხელმძღვანელობამ მოითხოვა.

— დიახ, „სპარტაკი" არ არის დარწმუნებული, რომ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში ალექსანდრე ჩიხრაძე რუსეთის მოქალაქედ დარჩება. ნალჩიკური კლუბის ხელმძღვანელებს რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე. მათ ყველანაირი გაუგებრობის გამოსარიცხად შესაბამისი დოკუმენტაციის გაგზავნა ითხოვეს — გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

ალექსანდრე ჩიხრაძე კი თბილისში გუშინ უნდა ჩამოსულიყო და მოქალაქეობის მიღებისთვის საჭირო საბუთები გაეფორმებინა, მაგრამ ეს საქმე ცოტა ხნით გადაიდო. რატომ? ჩიხრაძის თქმით, „სპარტაკმა" ყველა ის საბუთი ვერ მიიღო, რასაც ითხოვდა, თბილისიდან მხოლოდ ის ქაღალდი გაიგზავნა, სადაც ეწერა, რომ თანხმობის შემთხვევაში ჩიხრაძეს გარანტირებული ექნებოდა საქართველოს მოქალაქეობა.

— იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებიდან უკვე მივიღეთ კონსულტაციები და ნალჩიკის „სპარტაკის" ხელმძღვანელებს ორშაბათს გავუგზავნით იმ საბუთს, რასაც ითხოვენ. ეს არის ანკეტა, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობის მიღების მსურველები ავსებენ. ალექსანდრე ჩიხრაძეც თბილისში, ალბათ, ამის შემდეგ ჩამოვა.

ჩამოვა და მაშინვე ორმაგ მოქალაქეობას მიიღებს? ესეც ვკითხეთ ფედერაციის გენმდივანს.

— არა, ორმაგი მოქალაქეობის მიღების პროცედურა დაახლოებით სამთვიანი საქმეა, თუმცა, ცხადია, ფეხბურთის ფედერაცია ეცდება, რომ ჩიხრაძისთვის ქართული პასპორტის გაცემა მაქსიმალურად სწრაფად მოხდეს.

ერთი სიტყვით, რამდენად შესაძლებელია, ნალჩიკის „სპარტაკის" მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძემ ორმაგი მოქალაქეობა მიიღოს, ითამაშოს საქართველოს ნაკრებში და თან არც თავისი რუსული საქმეები გაიფუჭოს?

უჩა უგულავა მოკლედ და ცხადად გვპასუხობს.

— ეს სავსებით რეალურია.

ჩიხრაძის საქმესთან დაკავშირებით გაგრძელება კიდევ იქნება...

კოტა ინასარიძე

ირლანდია

პრემიერდივიზიონი. XVI ტური

დერი 1:0 ლონგფორდი

დუბლინი 0:0 დროჰედა

კორკი — ბრეი გადაიდო

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. XI ტური

ჰაფნარფიორდური 1:2 ვალიური

კაჭარავას თავდასხმა ბრაზილიურად მოუქცევია





ფოტო: ეროვნული ფეხბურთელების ფოტო

თბილისის „დინამო" ორკვირიანი ავსტრიული შეკრებისა და ინტერტოტოზე „რიდთან" წაგების შემდეგ ისევ უცხოეთშია, ოღონდ ამჯერად სიმფეროპოლში, სადაც საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩება და რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს, ერთ-ერთს ადგილობრივ „ტავრიასთან".

თბილისელები მორიგ შეკრებაზე შაბათს გაემგზავრნენ და თან ერთი ახალი ფეხბურთელიც წაიყვანეს — ბრაზილიელი ნახევარმცველი ტიაგო, რომელიც წინა სეზონში „ბათუმში" იყო და სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. სულ კახა კაჭარავამ სიმფეროპოლში 24 ფეხბურთელი წაიყვანა. კამერუნელი ნკემი კი, ვინც „დინამოსთან" ერთად ერთი კვირა თბილისში ივარჯიშა, უკანვე გაბრუნდა, მან მწვრთნელის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა.

სამაგიეროდ კი, ამავე შეკრებაზე „დინამოს" ალბათ ორი ბრაზილიელი თავდამსხმელიც შეემატება, კახა კაჭარავას ამ ფეხბურთელთა თამაში უნახავს და დარწმუნებულია, რომ ისინი გუნდს გამოადგებიან.

სიმფეროპოლში ეს ფეხბურთელები წავიდნენ: გრიშიკაშვილი, თოთლაძე, ლორია, გიგაური, ამბროზიო, თომაშვილი, ნავალოვსკი, შ. კაშია, გ. კაშია, აკობია, ჩირიკაშვილი, მერებაშვილი, ლობჟანიძე, მახარაძე, ნერგაძე, გრიგალაშვილი, კობახიძე, ხუციშვილი, ხმალაძე, იაშვილი, ბობოხიძე, ჯანაშია, ტიაგო, დვალი.

ლუკა თალაკვაძე

თუ ლევანტეს არველაძე უნდა, მეტი გადაიხადოს

ესპანური გაზეთი AS-ი ერთხელაც იუწყება იმის შესახებ, რომ პრიმერადივიზიონში ხელახლააღზევებულ „ლევანტეს" ჰოლანდიური „ალკმაარის" მეგოლე შოთა არველაძე სურს.

AS-ი გვამცნობს, რომ „ალკმაარს" მაინცდამაინც არ ხიბლავს „ლევანტეს" წინადადება. არველაძეს „ალკმაართან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს და თუ შოთა „ლევანტეში" გადავა, ვალენსიელებს „ალკმაარისთვის" სატრანსფერო თანხის გადახდა მოუწევთ. AS-ს თუ ვერწმუნებით, „ალკმაარის" პოზიცია ასეთია — „ლევანტეს" 33 წლის არველაძე ფაქტობრივად მუქთად სურს და ჩვენ ამაზე არ წავალთო.

რაც შეეხება თვითონ არველაძეს, მას ჰოლანდიაში დავუკაშვირდით და გვითხრა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, „ლევანტეს" ჰო შეუთვალოს თუ არა.

დავით თავართქილაძე

ღვინიანიძე ისევ ალპებშია — ლომებთან



საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მცველი მათე ღვინიანიძე კვლავ „მიუნხენ 1860"-ში ვარჯიშობს. იგი „ლომებს" ავსტრიაში, ალპების მთებზე შეკრებაზე ახლავს, მიუნხენურ კლუბში კი ღვინიანიძეს რეკომენდაცია კლაუს ტოპმიოლერმა გაუწია.

მათემ მეორე ტესტ-მატჩიც ითამაშა და ამჯერადაც შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში. „მიუნხენ 1860" 1:1 გაეყარა ჰრაღის „სპარტას", ჩვენიანმა კი ტორბერენ ჰოფმანი შეცვალა და მარჯვენა ცენტრალურ მცველად გისარჯა. ღვინიანიძის გამოსვლისას ანგარიში 0:0 იყო.

ჯერჯერობით უცნობია, რას აპირებს „მიუნხენ 1860" ქართველთან დაკავშირებით. მათი თავკაცი ვალტერ შახნერი მათეზე არაფერს ამბობს. მეორე ბუნდესლიგა თუ ისევ მოსკოვის „ლოკომოტივი"? წესით, ეს ამბავი მალე უნდა გადაწყდეს, ღვინიანიძეს ერთ-ორ საკონტროლო შეხვედრაშიც გამოცდიან.

ილია ნანობაშვილი

ნესტორ მუმლაძე: არტმედიასთან უშანსოდ არ ვართ

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ვიტ ჯორჯია“ ბრატისლავაში „არტმედიასთან“ 0:2 დამარცხდა. საპასუხო მატჩი თბილისში 27 ივლისს გაიმართება და ვიტელთა თავკაცი ნესტორ მუმლაძე მიიჩნევს, რომ მისი გუნდი უშანსოდ სულაც არაა დარჩენილი. რა მოხდა ბრატისლავაში? როგორ ითამაშა „ვიტ ჯორჯიამ“? ჩვენს კითხვებს ნესტორ მუმლაძე პასუხობს

ვშრომ დოლენჯაშვილის ფოტო

— მეტოქეზე სრულყოფილი ინფორმაცია არ გვქონდა. მატჩის პირველ წუთებში ჩვენი ფეხბურთელები შებოჭილები იყვნენ, მერე და მერე კი ნახეს, რომ მეტოქესთან ტოლსწორად თამაში შესაძლებელი იყო და პირველი წუთების შემდეგ სულ სხვა თამაში წავიდა.

— პირველი გოლი რა ვითარებაში გაუშვით?

— ჩვენი მცველები თამაშგარეს შექმნას აპირებდნენ, მაგრამ ერთი არტმედიელი გამოეპარათ. გაშვებული გოლის შემდეგ შევუტიეთ და საგოლე მომენტიც შევქმენით — სახოკიამ ჩააწოდა, გელაშვილმა 5-6 მეტრიდან შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ ააცილა. ამის შემდეგ კარგი მომენტები ჰონდათ დიღმელაშვილს და გიორგი დათუნაიშვილს.

— მეორე ტაიმში როგორ თამაში წავიდა?

— თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თავდადებით ვიბრძოდით და მთლიანობაში ჩვენი გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. „არტმედიას“ საკმაოდ ტანმაღალი ფეხბურთელები ჰყავს და მათთან საჰაერო ორთაბრძოლებშიც არაფერი დაგვითმია, თუმც ერთ მომენტში ჩვენმა დაცვამ ჩათვლიმა და სლოვაკებმა მეორე გოლი თავით გაგვიტანეს. გათანაბრების შანსი მატჩის მიწურულს გვქონდა — 85-ე წუთზე გელაშვილს დარტყმა გაუცუდდა, მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი გიორგი დათუნაიშვილის დარტყმული მეკარემ მოიგერია და დამატებაზე ბერიაშვილს შეეძლო გატანა, მაგრამ ისევ მეკარემ ითამაშა კარგად და ბურთი ბოლოს ძელს მოხვდა.

— „არტმედიამ“ მთლიანობაში რა შთაბეჭდილება დატოვა?

— კლასიანი გუნდია, რომლის ფეხბურთელები არ უხეშობენ, ვფიქრობ, „არტმედიასთან“ უშანსოდ არ უნდა ვიყოთ, ჩვენმა ფეხბურთელებმა უკვე ნახეს, რომ ამ მეტოქესთან შეიძლება თამაში და მისი დამარცხება. „არტმედია“ სწრაფ ფლანგურ შეტევებზე აკეთებდა აქცენტს.

— ბრატისლავური მატჩიდან რომელ ვიტჯორჯიელს გამოარჩევდით?

— საერთოდ, არ მიყვარს ფეხბურთელების გამორჩევა, მაგრამ დიღმელაშვილის თამაში მაინც უნდა ავღნიშნო — მან ძალიან დიდი სამუშაო შეასრულა.

— რა ტაქტიკით ითამაშა „ვიტ ჯორჯიამ“?

— 4-3-3 ვარჩიეთ: დაცვაში პაატა დათუნაშვილი, ლომაია, კვახაძე და გველესიანი; ნახევარდაცვაში ფეიქრიშვილი, გიორგი დათუნაიშვილი და დიღმელაშვილი; თავდასხმის ცენტრში გელაშვილი, ვისაც ფლანგებიდან სახოკია და ღუჭაშვილი ეხმარებოდნენ.

— ბრატისლავის სტადიონზე როგორი ატმოსფერო იყო?

— შეხვედრას ათი ათასამდე მაყურებელი დაესწრო. გულშემატკივრები უაღრესად კორექტულები იყვნენ, შეცვლების დროს ჩვენს ფეხბურთელებს ტაშს უკრავდნენ და თამაშის შემდეგ მთლიანად გუნდიც ტაშით გაგვაცილეს.

— ბოლო დროს „ვიტ ჯორჯიასთვის“ მეტად პრობლემური გახდა საგოლე მომენტების ვერგამოყენება და, როგორც ჩანს, ასე იყო „არტმედიასთანაც“...

— სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპზე ეს კომპონენტი გამოვასწორეთ, ვითარება ისეთი აღარაა, როგორიც 2005-06 წლების სეზონის მეორე ეტაპისას გვქონდა, ბრატისლავაში უფრო ბედის ამბავი იყო ყველაფერი.

— „არტმედიასთან“ მატჩში ფეხბურთელებს შორის ასაკობრივი სხვაობა რამდენად იგრძნობოდა?

— „არტმედიას“ ფეხბურთელების საშუალო ასაკი 25-27 წელია, ჩვენ კი მათზე ბევრად ახალგაზრდა და გამოუცდელი გუნდი გვყავს — ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. მაგალითად, ბრატისლავაში შეცვლაზე შევუშვით 1986 წელს დაბადებული ბეჭვაია, ვისაც ჯერ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში არ უთამაშია.

— „არტმედიასთან“ საპასუხო შეხვედრამდე ამხანაგური მამატჩები თუ გაქვთ დაგეგმილი?

— ერთ ამხანაგურ მატჩს აუცილებლად ვითამაშებთ საშუალო სიძლიერის მეტოქესთან, რადგან ტრავმებს ვერიდებით.

დავით თავართქილაძე

ოლეგ გველესიანი (მარჯვნივ) და „ვიტ ჯორჯია“ „არტმედიასთან“ ტოლსწორად ბრძოლას აპირებენ



ქინქლაძე დინამოსტან ითამაშებს?

19 ივლისს გიორგი ქინქლაძემ შესაძლოა, თავისი პირველი მატჩი ითამაშოს მიმდინარე რუსულ პრემიერლიგაში.

ყაზანის „რუბინის“ 33 წლის გამთამაშებელმა სეზონისწინა შეკრებაზე ნეკნი დაიზიანა, შემდეგ საზარდულმა შეაწუხა და მის ბოლომდე მოშუშებას არა და არ დაადგა საშველი. ქინქლაძე მოსკოვშიც მკურნალობდა და ექიმთან კონსულტაციისთვის მანჩესტერშიც კი ჩავიდა, მაგრამ, როგორც კი სრული დატვირთვით შეუდგებოდა ვარჯიშს, საზარდული ისევ ასტკივდებოდა ხოლმე.

— უკვე სამი-ოთხი დღეა, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და საზარდული აღარ მტკივა. შესაძლოა, მომავალ ტურში ვითამაშო კიდეც მოსკოვის „დინამოსთან“. თუ ასე მოხდა, მატჩის ბოლო 15-20 წუთს ვითამაშებ, რადგან ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვარ. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, სამი-ოთხი თამაშის შემდეგ უკვე კარგ ფორმაში ვიქნები — გვითხრა ქინქლაძემ.

დავით თავართქილაძე

ჯაკობია მეთოფეა

ხარკოვის „მეტალისტის“ კაპიტანი ლაშა ჯაკობია გუნდის ფანებს გამორჩეულად უყვართ, თუმცა ჩვენიანს კლუბის ხელმძღვანელობასთან და მწვრთნელ მირონ მარკევიჩთან მოუვიდა უთანხმოება. ლაშას სეზონის ბოლო ჩაუვარდა, გოლები იშვიათად გაჰქონდა, რის გამოც მარკევიჩი ხშირად აკრიტიკებდა.

ლაშა „მეტალისტთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე ყოყმანობდა, ბოლოს კი მაინც დაყაბულდა. როგორც გაირკვა, იგი ივჯარით კიევის „არსენალში“ ითამაშებს.

მოკლედ, დიდი შანსია, ალექსანდრ ზავაროვის გუნდში ორმა ქართველმა ითამაშოს: ჯაკობია ახალია, ჯაბა კანკავა კი აქამდეც „არსენალში“ იყო.

ილია ნანოგაშვილი

არსენალი და ბურდული ვერ მორიგდნენ

გიგიაძეს დღეს რაპიდი გადაუწყდება

ლადო ბურდული

გაპოტრებული „კრივბასიდან“ წასული ლადო ბურდული კიევის „არსენალთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ გუშინ გვითხრა, „არსენალის“ შემოთავაზებული პირობებით უკმაყოფილო ვარ და ალბათ „არსენალს“ უარს ვეტყვიო.

ბურდულს კიდევ ერთი უკრაინული გუნდი, „ლუგანსკი“ რომ ეპატიჟება, ადრეც გაუწყეთ. გუშინ ბურდულმა გვამცნო, დიდი შანსია, „არსენალის“ ნაცვლად „ლუგანსკში“ წავიდე, რადგან ლუგანსკელები უკეთეს პირობებს მთავაზობენო.

რაც შეეხება „კრივბასის“ კიდევ ერთ ჩვენებურს, ვასილ გიგიაძეს, ის დღეს ბუქარესტში ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

„99 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ „რაპიდთან“ კონტრაქტს გავაფორმებ. ბუქარესტელები სამწლიან ხელშეკრულებას მთავაზობენ“ — გვითხრა გიგიაძემ.

დავით თავართქილაძე

აუეს აუუ ანგარიშები

სირაძის ჰეთ თრიქი და დუბლი

დავით სირაძის აუე სპარინგ-მეტოქეების დაბრიყვებაში გაიწაფა. არ ვიცით, ასეთი რა დონის გუნდებს ეთამაშება აუე, რომ ასტრონომიული ანგარიშებით იგებს და 7-8 მატჩში ლამის 80-მდე გოლი გაიტანა.

ამჯერად ერცგებირგელებმა გერმანიის ქვედალიგელი „მერკური“ 10:0 გაანადგურეს, სირაძემ კი ჰეთ თრიქი შეასრულა. წინა მატჩებში კი („ბანიკთან“ 1:0 და „ოსტერვენდთან“ 6:0) ქართველი უგოლოდ დარჩა. გუშინვე აუემ კიდევ ერთი გერმანული ქვედალიგელი დაამარცხა — 9:6. სირაძემ დუბლი მიითვალა.

გელზენკირხენის „შალკემ“ კი ორი მოგების შემდეგ ჩეხურ „სიგმასთან“ 0:1 დათმო, ლევან კობიაშვილმა სრულად ითამაშა, ამჯერად მარცხენა საყრდენ ნახევარმცველად. რას იზამ, ყველა თამაშში ხომ ვერ გაიტანს „კობი“...

ილია ნანოგაშვილი

თვესასწაული ყოველდღე

ემზარ ზენაიშვილი

აკრედიტებული შთაბეჭდილებები

AFP

გერმანელების მიერ პოლონელთა ძლევის შემდეგ აეროპორტში მიმავალს ვაგონში სამი ახალგაზრდა, 18-20 წლის გახარეუბული გერმანელი ფანი დამემგზავრა, ერთ-ერთმა ორი ბოთლი ლუდი ამოიღო და ჩამოტარებაზე ყლურწვა დაიწყეს, თანაც აკონტროლებდნენ, რომელიმეს დიდი ყლუპი არ მოსვლოდა. მერე ჩემს კისერზე ჩამოკონწიალებული აკრედიტაციით დაინტერესდნენ და ერთმა ღიმილით მომმართა ხომ არ მომყიდით, ბილეთების პრობლემა არ მექნებაო. არ დამიზუსტებია, რომ ჟურნალისტებს მატჩზე დასასწრები ბილეთების მიღების სპეციალური წესი გვქონდა, რომელიც სრულებით არ იძლეოდა ყველა მატჩზე დასწრების შესაძლებლობას და ყასიდად ფასიც ვუთხარი — 7 ათასი ევრო-მეთქი. არ გაკვირვებიათ, ჩვენ ვერ შევწვდებითო, ეს თქვეს მხოლოდ. შემდეგ სადაურობასაც მიადგნენ და საქართველო კობიაშვილით გაიხსენეს, თუმცა, სად მდებარეობს, ვერა და ვერ მოიაზრეს. აქ კი, ჩემდა გასაოცრად, დამხმარე გამოუჩნდათ — შუახანს მიტანებულმა, შავგვრემანმა, გამხდარმა და მელოტმა კაცმა, ჩვენს საუბარს თურმე ყურს რომ უგდებდა, ძალზე ორიგინალურად ჩაუტარა გერმანელ ყმაწვილებს გეოგრაფიის გაკვეთილი — როგორ არ იცით, საქართველო ხომ სომხეთის გვერდითააო. ყმაწვილებმა ჯერ მე შემომხედეს, შემდეგ თვალი გაყოლეს გაჩერებაზე ჩამავალ მიკლუხო-მაკლაის.

საქართველოს რუკა თან მქონდა, ინფორმაციის მინიმუმი მივაწოდე და ჩვენი ერთობლივი მგზავრობაც ჩამთავრდა. ყველაზე მორიდებულმა, რომელიც საუბარში არ ჩარეულა, მომცრო, 100-გვერდიანი წიგნი მომაწოდა — სამახსოვროდ გქონდეთ ჩვენგან, გერმანიასა და გერმანულ ფეხბურთს მოგაგონებთო.

სამაგიერო ჟესტი იყო ჩემს ნათქვამზე — საქართველოს ნაკრების შემდეგ გერმანულ ფეხბურთს ვცემ პატივს-მეთქი.

წიგნი კი ასეთი სათაურითაა — „ცხოვრების თამაში“.

ისე მოხდა, რომ დორტმუნდში 4 ივლისს გერმანელთა მესამე მატჩს ვესწრებოდი. ყოველი მომდევნო მატჩის მიმართ ინტერესი, აჟიოტაჟი და პრესის აქტიურობა სულ უფრო იზრდებოდა, მატჩების ტემპერატურაც პროპორციულად მატულობდა, ბილეთების ფასი ამ ტენდენციის შესაბამისი გახლდათ.

გერმანია — იტალიის მატჩის ბილეთებზე რომ ტაციაობა იყო — არ გაგიკვირდებათ. ფრანკფურტში, შემდეგ კი თითქმის სამსაათიანი მგზავრობის დროს გაჭედილ ვაგონებში, სწორედ ამ თემაზე ბჭობდნენ. ერთ ახალგაზრდას ჩვენს ვაგონში ბილეთების მთელი დასტა აღმოაჩნდა და გასაქანს არ აძლევდნენ. რა ბედია ეწია მას და მატჩზე დასწრების მსურველთა მცდელობას, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ბილეთის ყიდვის ერთმა ორიგინალურმა ხერხმა თუ მეთოდმა მართლაც რომ ღიმილი მომგვარა — როგორც კი ვაგონიდან გადმოვედით და დორტმუნდის სადგურში ათასობით ადამიანთა წყებას შევუერთდით, თვალში მომხვდა წარწერები „I NEED TIKET“. უამრავი ასეთი თხოვნა იყო ფრანგულად, იტალიურად, გერმანულად, მაგრამ ერთმა, არცთუ ახალგაზრდა ჯეელს რომ ეჭირა ხელთ, ყველას ყურადღება მიიპყრო — უფრო დიდი ასოებითაც ეწერა, ქაღალდის ფორმატიც დიდი იყო და თავადაც ფიზიკურად ზორბა გახლდათ. წარწერა კი ასეთი იყო: „I NEED SEX“.

ძნელი სათქმელია, 4-ში საღამოს მას სექსი ჰქონდა თუ ბილეთი. იქნებ, ორივესაც გამოჰკრა ხელი.

რადგანაც უკვე დორტმუნდში ვართ, ბარემ ორიოდ სიტყვა ნახევარფინალურ მატჩზეც ვთქვათ. დავიწყებ იქიდან, რომ სტადიონთა პრესცენტრებს შორის დორტმუნდის მედია-დარბაზი ყველაზე დიდი და ყველაზე კარგად მოწყობილი გახლდათ. პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ თავად სტადიონი ჯერ კიდევ ბოლომდე დამთავრებული არ არის. ვგულისხმობ ინფრასტრუქტურასა და დამხმარე ნაგებობას, ამდენად, ჟურნალისტებს თავიანთი სამუშაო ადგილებიდან ტრიბუნებამდე თითქმის ნახევარკილომეტრიანი გზა ჰქონდათ გასავლელი. დიდი იყო მედიის დაინტერესება ამ მატჩით. ეს იგრძნობოდა სპეციალური სამარშრუტო ავტობუსების რაოდენობით, ბილეთების მომლოდინეთა სიმრავლით, თითქმის ათასამდე შესანახი საკნიდან კი ერთსაც ვერ მოიხელთებდით თავისუფალს. სპორტული ჟურნალისტები განაწყენების გარეშეც არიან ხოლმე პრობლემურები. აქ კი ათეულობით მათგანი უბილეთოდ დარჩა და უნდა გენახათ, უკმაყოფილების გამოვლინების როგორი ფორმები იყო.

„მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ვიქნებით მსოფლიოს ჩემპიონები. მთელი გერმანია იქნება მსოფლიოს ჩემპიონი“ — ეს სიტყვები დორტმუნდის მატჩის წინ წარმოთქვა გერმანიის პრეზიდენტმა ჰორსტ კელერმა. მან ყველა მისი თანამემამულის აზრი გამოთქვა.

თამაშის დღეს იტალიურ „კორიერა დელა სპორტში“ გამოქვეყნდა იურგენ კლინსმანის ინტერვიუ, სადაც ის დარწმუნებით ამბობდა, რომ ლიპის გუნდი გერმანელებს დაცვაზე ორიენტირებული თამაშით დაუპირისპირდება.

„მაგრამ არა უშავს, იტალიური კატენაჩოს გასაღებს ჩვენ ვიპოვით“ — ამბობდა გერმანელთა ახალგაზრდა მწვრთნელი.

არ გამართლდა გერმანელთა თავკაცის წინასწარმეტყველება. იტალიელებმა საკმაოდ ღია, შეტევაზე აქცენტირებული ტაქტიკით ითამაშეს. ობიექტურად გაიმარჯვა იმ გუნდმა, რომელიც ამას უფრო იმსახურებდა — უფრო დაბალანსებულმა, უფრო შეთამაშებულმა, უფრო უკეთესი შემსრულებლებით დაკომპლექტებულმა და ალბათ უფრო გამოცდილი და პროფესიონალი მწვრთნელის დამოძღვრილმა. მარჩელო ლიპის გუნდს პირველ ტაიმში საკმაოზე მეტი უპირატესობა ჰქონდა, მეორე ტაიმი დაახლოებით თანაბარი თამაში იყო, შეიძლება ითქვას, უფრო უკეთ გერმანელები გამოიყურებოდნენ. დამატებითი დრო კი ცალსახად იტალიელების გახლდათ. თამაში სანახაობრივად მიმზიდველი, ტემპიანი, გამოყენებული საგოლე მომენტებით მდიდარი აღმოჩნდა. საოცარი ძალით ითამაშა იტალიელთა ნახევარდაცვამ — განსაკუთრებით პირლომ და გატუზომ. დაცვაში კი ბადალი არ ჰყავდა კანავაროს. მექსიკელმა მსაჯმაც თამაში არ გააფუჭა (თუმცა 2-3 უხეში შეცდომაც დაუშვა), სპორტსმენებს კონტაქტური ბრძოლის საშუალებას აძლევდა და ყოველ წუთს უაზროდ არ უსტვენდა. იტალიელებმაც და ფრანგებმაც ტურნირი ყოვლად უგერგილოდ დაიწყეს, მაგრამ ჩემპიონატის დღეებშივე მოუმატეს და შესანიშნავ ოთხეულში მათი მოხვედრა მართლაც რომ სამართლიანი იყო.

სულ რაღაც 90 წამში დაინგრა გერმანელთა ოცნება. თითქოს სამყაროში სიცოცხლე შეწყდაო. იტალიელებიც მყისიერად გაირინდნენ და მხოლოდ მომხდარის გაცნობიერებას მოჰყვა მათი ყიჟინა. მოედანი მომენტალურად ორ სხვადასხვა სამყაროდ იქცა — გაშეშებულ-გაქვავებული 11 გერმანელი, ერთი-ორი უკვე ტანზევით შიშველი, ზოგი მიწაზეა განრთხმული და თავზე ხელშემოვლებული, ზოგი მუხლმოყრილი და რაღაცას ბურდღუნებს, ზოგსაც ერთმანეთისთვის ხელი გადაუხვევია — გასამხნევებლად, ზოგი გაშტერებული თვალებით შეჰყურებს სტადიონის ტრიბუნებს, ზოგს დაუფარავად ღვარად სდის ცრემლები, ზოგიც ჩამუხლული მალულად ცდილობს ცრემლების მოწშენდას. ყველაზე ადრე გონს კლინსმანი მოეგო, მოედანზე შევიდა, თავის შეგირდებს ეხვეოდა და ამხნევებდა.

უზომოდ ტემპერამენტიანი იტალიელების სიხარულის განცდას აღწერაც არ უნდა — ისედაც იოლი წარმოსადგენია.

ორივე ნახევარფინალურ მატჩს ჩემს კოლეგებთან, სანდრო ცნობილაძესთან და დავით კოვზირიძესთან ერთად ვადევნებდი თვალს. თავიდანვე მოწყენილები და უხასიათონი მეჩვენენ. მიზეზი მოგვიანებით თავად მითხრეს — ბრაზილიამ და არგენტინამ დაგვაღალატესო. მე წატრაბახებასავით გამომივიდა — გერმანია ჩემი ჯილაა, უკვე მათ მესამე თამაშს ვესწრები-მეთქი. თან ირონიაშეპარვით დავინტერესდი, თქვენი გუნდები ხომ კარგად გააცილეთ სამშობლოში, მომქანცველი ფრენის შემდეგ საღსალამათნი ხომ არიან-მეთქი.

გერმანელთა მარცხის შემდეგ სანდროც და დათოც უფრო დელიკატურები იყვნენ ჩემს მიმართ.

უკვე 5 ივლისს 3-მილიონიანი ტირაჟის მქონე **SPORT BILD**-ის რედაქტორი მკითხველების სახელით მადლობას უხდის ფრანც ბეკენბაუერს, მის დიპლომატიურ ნიჭსა და ადმინისტრაციულ გამოცდილებას — ჩემპიონატი რომ გერმანიაში ტარდება, საორგანიზაციო კომიტეტს — შესანიშნავი მიგნებისთვის — ფანკლუბის შექმნა იგულისხმებოდა და მადლობა იურგენ კლინსმანს იმედის გუნდის შექმნისთვის. სხვათა შორის, ბეკენბაუერი მართლაც იქცა „გერმანიის სახედ“.

გერმანულ ჟურნალს ეყო სითამამე და ბუნდესლიგისა და მსოფლიო ჩემპიონატის სტატისტიკური შედარებისთვის მოიცალა (ჯარიმები, კარში დარტყმები, კუთხურები, გატანილი გოლები და სხვა). რამდენად ექვემდებარება შედარებას და რამდენად კორექტულია მათი ეს ინიციატივა, მკითხველისთვის მიმინდვია.

გაგრძელება იქნება

არეულობა არეულობის შემდეგ

მილანის ევროჯუჯრუტანა და მანჩინის პატიოსნება

ლუჩანო მოჯი

იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო სკანდალი დასასრულს უახლოვდება. თუმცა „კალჩოპოლის“ მიერ დასჯილი ყველა კლუბი განაჩენის გასაჩივრებას აპირებს. ასე რომ, ეს აურზაური ერთხანს კიდევ გაგრძელდება.

მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალის თავში მყოფი და ყველაზე მკაცრად დასჯილი „იუვენტუსის“ ახალი შეფობა თვლის, რომ განაჩენი ზედმეტად მკაცრია. თუ აპელაციამ შედეგი არ გამოიღო, გავრცელებული ცნობით, გუნდს სულ მცირე, ცხრა წამყვანი მოთამაშე დატოვებს. ბუნებრივია, სერია B-ში მინუს 30 ქულით თამაშს ცოტა თუ ისურვებს.

წამსვლელთაგან ერთ-ერთი პირველი შესაძლოა, პაველ ნედვედი აღმოჩნდეს. 33 წლის ვეტერანს კარიერის ბოლო წლების უმაღლეს ლიგაში გატარება სურს. მას უკვე შესთავაზეს კონტრაქტი „ტოტენჰემმა“ და „მონაკომ“, ასევე ყატარულმა და არაბულმა კლუბებმა.

ფაბიო კანავაროს, ჯანლუკა ძამბროტას, ზლატან იბრაჰიმოვიჩს, დავიდ ტრეზეგეს, პატრიკ ვიეირას, ლილიან ტურამს, ჯანლუიჯი ბუფონსა და ემერსონს კი სხვადასხვა კლუბები შეესივნენ. მათ შორის, „მილანი“, „რეალი“, „არსენალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“ და „ბარსელონა“. „ბებერი ქალბატონის“ კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ერთადერთი ვარსკვლავია, რომლის „დელე ალპიზე“ დარჩენასაც ვარაუდობენ.

„ეს ძალიან მკაცრი და უსამართლო განაჩენია. ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ. იმედია, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დარჩება. მესმის, რომ ძნელია, სერია B-ში მინუს 15 ქულით ითამაშო, მაგრამ... ყოველ შემთხვევაში, ვინც გაიყიდება, მხოლოდ სათანადო ფასში. გვინდა, ყველამ იცოდეს, რომ ვარსკვლავების იაფად გასხვისებას არ ვაპირებთ“ — თქვა „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

ტურინელთა ახალი მწვრთნელი დიდიე დეშანი კი უკვე თავს იზღვევს. ცხადია, მას ესმის, რომ მინუს 30 ქულით სერია A-ში მყისვე დაბრუნება ძალიან გართულდება. სტატისტიკური გამოთვლით „იუვენტუსს“ დაახლოებით 96 ქულის მოგროვება მოუწევს, რათა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში ითამაშოს.

„რთულ მდგომარეობაში ვართ და პირველივე ცდით სერია A-ში დაბრუნება ძნელი იქნება. შესაძლოა, ამას ორი სეზონი დასჭირდეს. თუმცა ჩვენ ვიბრძოლებთ. შემადგენლობაც სათანადო უნდა გვყავდეს. ჯერჯერობით მხოლოდ დელ პიეროს ამბავია ცნობილი. რამდენიმე დღის წინ ალექსს ვესაუბრე და მითხრა, რომ რჩება. მას უყვარს „იუვენტუსი“ და გუნდის სიმბოლოა. მომავალ სეზონში სხვა ფეხბურთელებისთვის სამაგალითო და მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება“ — თქვა დეშანმა.

„ყველა მატჩი მინდორზე ჩატარდა და შედეგიც იქ დაფიქსირდა. განაჩენმა ძალიან დამწყვიტა გული. ჩემი დასჯა არ მაღელვებს. ვწუხვარ იმ გულშემატკივრების გამო, რომლებიც ტყუილად დაიჩაგრნენ“ — თქვა „იუვეს“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ, რომელიც 5 წლით მოკვეთეს საფეხბურთო საქმიანობიდან.

ფეხბურთს სამი წლით ჩამოშორებული კლაუდიო ლოტიტო: „ჩვენ არ ველოდით ამგვარ სასჯელს. ეს ყოველგვარ საზღვარს გასცდა. განაჩენს აუცილებლად გავასაჩივრებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ“.

„არც მინდა, ვიფიქრო, რა იქნება, თუ აპელაცია შედეგს არ გამოიღებს. ჩვენ ფაქტები გვაქვს, რომელთაც უნდა დაგვიცვან და იმედია, სასამართლო ყველაფერში გაერკვევა“ — ეს კი „ფიორენტინას“ საპატიო პრეზიდენტ დიეგო დელა ვალეს სიტყვებია, რომელიც 4 წლით ჩამოაშორეს ფეხბურთს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო 5 წელიწადში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც „ფიორენტინას“ სერია A-დან აქვეითებენ. მაშინ ეს ფინანსური პრობლემების გამო მოხდა და „იებს“ საერთოდ, სერია C-ში უკრეს თავი.

„კალჩოპოლის“ განაჩენის მიხედვით, ამ მაქინაციებში გარეული კლუბებიდან ყველაზე ნაკლებად გასვრილი „მილანი“ ყოფილა, რომლის სასჯელიც შედარებით ლმობიერია. თუმცა გასაჩივრებას „როსონერიც“ აპირებს.

„ძალიან ბევრი მიზეზია, რის გამოც ამ უცნაურ განაჩენს უნდა შევედაოთ და შევებრძოლოთ. არსად არ წერია, თუ რატომ დაგვაკლეს 44 ქულა და რატომ დავიწყებთ მომავალ სეზონს მინუს 15 ქულით“ — აღნიშნა „მილანის“ ადვოკატმა ლეანდრო კანტამესამ.

საინტერესოა, რომ შესაძლოა, „მილანი“ შემდეგ სეზონში ევროტურნირების გარეშე მაინც არ დარჩეს. 44 ქულის ჩამოკლების მიუხედავად, „როსონერი“ გასული სეზონის ცხრილში მაინც საკმაოდ მაღალ, მერვე პოზიციაზე აღმოჩნდა და უეფას თასის ზონას ერთი საფეხურთი ჩამორჩება. თუ ამ მოკლე დროში „ემპოლი“ სათანადო ლიცენზიას ვერ მოიპოვებს, უეფას თასზე მის ნაცვლად სწორედ „მილანი“ ითამაშებს.

„ემპოლის“ მფლობელი ფაბრიციო კორსო: „ეს ჩვენთვის უნიკალური შესაძლებლობაა. პატარა კლუბი ვართ და ასეთი შანსი ეგებ აღარც მოგვეცეს. იმედია, ლიცენზიას მივიღებთ“.

დაბოლოს, ყველას აინტერესებს, თუ რა ბედი ეწევა ბოლო ორ სკუდეტოს, რომელიც „იუვენტუსს“ ჩამოართვეს. როგორც ამბობენ, ამ ჩემპიონატებს ბათილად ცნობენ ანუ თითქოს არც ჩატარებულა. თუმცა „ინტერი“ გასული სეზონის სკუდეტოს ითხოვს. ამ ლოგიკით შარშანწინდელი სეზონის გამარჯვებულად „მილანი“ უნდა ჩაითვალოს.

„ინტერის“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „ორი წლის წინანდელი ჩემპიონატი მართლაც უნდა გაუქმდეს, მაგრამ შარშანდელ სეზონში გამარჯვებულად ჩვენ უნდა გამოგვაცხადონ. როდესაც კლუბები თამაშებს აწყობენ და მერე ისჯებიან, სკუდეტო მას უნდა გადაეცეს, ვინც პატიოსნად თამაშობს და ცხრილში მათ შემდეგაა. ეს ლოგიკურია“.

გიორგი კაკაბაძე

დეშანი „იუვენტუსს“ ავარჯიშებს

სერია A 2005-2006

ინტერი	76
რომა	69
კიევო	54
პალერმო	52
ლივორნო	49
ემპოლი	45
პარმა	45
მილანი	44
ასკოლი	43
უდინეზე	43
სამპდორია	41
რეჯინა	41
კალიარი	39
სიენა	39
მესინა	31
ლეჩე	29
ტრევიზო	21

იუვენტუსი, ლაციო, და ფიორენტინა ჩააქვეითეს სერია B-ში

სერია A 2006-2007

ინტერი
რომა
კიევო
პალერმო
ლივორნო
ემპოლი
პარმა
ასკოლი
უდინეზე
სამპდორია
რეჯინა
კალიარი
სიენა
მესინა
ლეჩე
ტრევიზო
ატალანტა
კატანია
ტორინო
მილანი
(დაიწყებს -15 ქულით)

სერია B 2006-2007

მანტოვა
მოდენა
ჩეზენა
არეცო
ბოლონია
კროტონე
ბრეშა
პიაჩენცა
პესკარა
ბარი
ტრიესტინა
ვერონა
ვიჩენცა
რიმინი
ალბინოლეფე
ნაპოლი
ფროზინონე
სპეცია
ჯენოა
ლაციო
(დაიწყებს -7 ქულით)
ფიორენტინა
(დაიწყებს -12 ქულით)
იუვენტუსი
(დაიწყებს -30 ქულით)

კალჩოპოლის განაჩენი

ჩამოართვეს 2004-05 და 2005-06 წლების სკუდეტოები. დააქვეითეს სერია B-ში და მომავალ სეზონს მინუს 30 ქულით დაიწყებს. კლუბის ყოფილი დირექტორები — ლუჩანო მოჯი და ანტონიო ჯირაუდო — ჩამოაშორეს ფეხბურთს 5 წლით.

ფიორენტინა

დააქვეითეს სერია B-ში და მომავალ სეზონში მინუს 12 ქულა ექნება. გუნდის პრეზიდენტ ანდრეა დელა ვალეს ფეხბურთში საქმიანობა 3 წლითა და 6 თვით აუკრძალეს, ხოლო მის ძმას და „ფიორენტინას“ საპატიო პრეზიდენტ დიეგოს — 4 წლით.

ლაციო

გააძევეს სერია B-ში მინუს 7 ქულით. კლუბის პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო სამი წლით დაემშვიდობა საფეხბურთო საქმიანობას.

მილანი

გასული სეზონიდან ჩამოაკლეს 44 ქულა, ხოლო მომავალს მინუს 15 ქულით დაიწყებს. გუნდის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ერთი წლით მოკვეთეს ფეხბურთიდან, ხოლო კლუბის ერთ-ერთი ჩინოვნიკი ლეონარდო მეანი — 3 წლით და 6 თვით.

სამსაჯო კომიტეტი

პრეზიდენტი ტულიო ლანეზე საქმიანობას 2 წლით და 6 თვით ჩამოსცილდა. ანალოგიური სასჯელი მიიღო ერთ-ერთმა ყოფილმა მმართველმა, პიერლუიჯი პაირეტომ. ვიცე-პრეზიდენტი ჯენარო მაცეი ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. კიდევ ორმა ჩინოვნიკმა — პაოლო ბერგამომ და პიეტრო ინგარჯიოლამ — გაფრთხილებები მიიღეს.

მსაჯები

დაისაჯნენ: მასიმო დე სანტისი (აუკრძალეს საქმიანობა 4 წლით და 6 თვით), პაოლო დონდარინი (3 წელი და 6 თვე) ჯანლუკა პაპარესტა (3 თვე). უდანაშაულოდ ცნეს: პასკუალე როდომონტი, პაოლო ბერტინი, დომენიკო მესინა, ჯანლუკა როკი და პაოლო ტალიავენტო.

თანამსაჯები

კლაუდიო პულისიმ და ფაბრიციო ბაბინიმ მიიღეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცი.

ფედერაციის ჩინოვნიკები

ყოფილი პრეზიდენტი ფრანკო კარარო 4 წლით და 6 თვით, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი ინოჩენტო მაცინი — 5 წლით ჩამოაცილეს ფეხბურთს.

როგორ გავატარე ზაფხულის არდადეგები

ბაპტისტა საპასპორტოში შეივლის

ბრაზილიელი ჟულიო ბაპტისტა მომავალ სეზონში „რეალის“ გამარჯვებისთვის, უკვე ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს მეთაურობით იბრძოლებს. მადრიდელთა ფეხბურთელი ესპანეთის სატახტოს ახლახან დაუბრუნდა — ბრაზილიაში იყო არდადეგებზე. ბაპტისტას სეზონთაშორისის დროს ლონდონის „არსენალში“ გადასვლაც შეეძლო, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, მისი მიზანი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დარჩენაა. ოკეანისგაღმელ მოთამაშეს „ასის“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ.

— როგორ დაისვენეთ?

— საკმაოდ კარგად. ვეცადე, ოჯახთან და მეგობრებთან ერთად მეტი დრო გამეტარებინა. 5 წელია პროფესიულ ფეხბურთში ვარ და არდადეგებზე 52 დღით პირველად დავისვენე.

— ალბათ, გასულ, „მშრალ“ სეზონთან დაკავშირებული უსიამოვნებების გახსენებაც აღარ გინდათ...

— ჩვენ ახლა ყველაფერს თავიდან, ნულიდან ვიწყებთ. ყველას თავისი მოტივაცია აქვს მოგებისთვის და, დარწმუნებული ვარ, 2006-07-ის სეზონი ადრინდელზე გაცილებით უკეთესი იქნება.

— რა გააკეთეთ, რათა ფორმა შეგენარჩუნებინათ?

— ველოტრენაჟორზე ვვარჯიშობდი, დავრბოდი. ჩემს მეგობრებთან, ფერნანდოსა და ალექსანდრესთან ერთად, ფეხბურთს ვთამაშობდი. ისინი პროფესიონალი მობურთალები არ არიან, მაგრამ ფორმის შენარჩუნებაში ძალიან დამეხმარნენ. არანაირი ტრავმა არ მაწუხებს. როგორც სან პაულუში ჩატარებულმა ტესტებმა უჩვენა, მარჯვენა და მარცხენა ფეხი თანაბრად ძლიერი მაქვს.

— განსაკუთრებულ სპორტულ დიეტასაც იცავდით?

— აქ სხვანაირადაა საქმე. რახან წინა სეზონში ბევრ რამეზე თავი შევიკავე, ბრაზილიაში არც ერთ გემრიელ კერძზე უარი არ მითქვამს...

— განახლებული „რეალი“ როგორ მოგწონთ?

— ვიცოდი, რომ მადრიდში ბევრი სიახლე დამხვდეოდა. სამწვრთნელო შტაბი სულ სხვაა და, ცხადია, მუშაობის სხვანაირ მეთოდებს შემოგვთავაზებს. ჩვენ, ფეხბურთელებს, მოედანზე საქმის გაკეთება გვევალება — მწვრთნელის გადაწყვეტილებებზე ვართ დამოკიდებულნი.

— ფაბიო კაპელოს შესახებ რას გვეტყვით?

— გეტყვით, რომ მას ჩვენი კრიზისიდან გამოყვანა შეუძლია. ყველა მწვრთნელი, რომელსაც მუშაობის მკაცრი სტილი ახასიათებს, სასარგებლოა ამჟამინდელი „რეალისთვის“. კაპელო მუდამ იგივე დარჩება და თავის ფილოსოფიას არ შეცვლის — აქაოდა, გამორჩეულ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უნდა ვიმუშაოო. და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— „კაპელოს ფილოსოფიაში“ რას გულისხმობთ?

— სერიოზული კაცია, რომელიც სერიოზულად მუშაობს. მასთან თანამშრომლობა არ უნდა გაგვიჭირდეს.

— ახალ მწვრთნელს უკვე ესაუბრეთ?

— შემეკითხა, თავს როგორ გრძნობ და დასვენებამ როგორ ჩაიარაო. სხვა არაფერი ისეთი, განსაკუთრებული...

— „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს თუ იცნობთ?

— თუ კალდერონმა მართლა თქვა, უშუალოდ საფეხბურთო საკითხებში ნაკლებად ჩავერევიო, მოგებული დავრჩებით. ჩვენ დღეს მწვრთნელიც კვალიფიციური გვყავს და კოორდინატორიც, იციან, რომელი ფეხბურთელები გამოიყვანონ მოედანზე და რანაირად ათამაშონ. ადრე, ფლორენტინო პრესესის პრეზიდენტობისას, ყველაფერი უფრო რთულად იყო...

— სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩზე რას ფიქრობთ?

— მიატოვიჩს მარტო ტელეფონით ველაპარაკე რამდენჯერმე და მასთან დიდი ხნის ნაცნობობა არ მაკავშირებს. თუმცა მან თავის დროზე დიდი ფეხბურთი ითამაშა და მშვენვრად იცის, მოედანზე ყოფნა რას ნიშნავს.

— მილანელი კაკა თქვენი მეგობარია. რას გვეტყვით მის შესახებ?

— კარგი ბიჭია. როგორც ფეხბურთელი კი ძალიან ძლიერია და დახვეწილი. თუმც მას ჩემთვის არასდროს უთქვამს, მადრიდის „რეალში“ გადასვლა მინდაო. ყოველთვის ამბობდა, რომ „მილანში“ თავს შესანიშნავად გრძნობს და იმ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაც სურს. არ ვიცი, ახლა აზრი თუ შეიცვალა. ისე კი, კაკა რამდენჯერმე შემეკითხა, რა სიტუაცია იყო „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

— თქვენი აზრით, კაკა "რეალში" თუ გადმოვიდა, წარმატებებს მიაღწევს?

— თუ ტრავმა არ აწუხებს, კაკას არც ერთ გუნდში თამაში არ გაუჭირდება, მაგრამ, თავადვე იცით, „რეალი“ თავისებური და რთულია.

— რონალდომ შაბათს ოპერაცია გაიკეთა ბრაზილიაში...

— ტკივილები აწუხებდა და ადრე თუ გვიან წვივის პრობლემა უნდა გადაეჭრა. ადამიანმა სხვაზე უკეთესად იცის, მისთვის რა არის კარგია, და რა — ცუდი.

— გავრცელდა ხმები, რომ აგვისტოში ესპანეთის მოქალაქეობის მიღებას აპირებთ...

— ჰო, ცოტათი ესპანელად ვთვლი თავს, ოღონდ უფრო სევილიელად, ვიდრე მადრიდელად... უკვე სამი წელია, აქ ვარ და იმედია, მეოთხესაც ესპანეთში გავატარებ.

— ესე იგი „არსენალში“ გადასვლას არ აპირებთ...

— ჩემი თავის მჯერა. თავდაუზოგავად ვიმუშავებ, რათა კაპელომ ძირითად შემადგენლობაში დამაყენოს. მინდა, მომავალი სეზონი თავიდან ბოლომდე მაღალ დონეზე ჩავატარო... „არსენალი“ ჩემი შეძენილი, მართლაც დაინტერესდა, ხელსაყრელი კონტრაქტიც შემომთავაზეს, მაგრამ „რეალიდან“ მაინც არსად წავალ. თუ ეს უფროსობამ ისურვა, რა თქმა უნდა...

— ელოდებით, რომ სამეფო გუნდი წლეულს ჯილდოებს მოიგებს?

— ჯერ ძნელია პროგნოზის გაკეთება. თუ კარგი ფეხბურთელები მოიყვანეს და ტრავმებმა ხელი არ შეგვიშალა... ერთი სიტყვით, მე მომავლის იმედი მაქვს...

კანავარო და ძამბროტა მადრიდის „რეალში“ გადადიან

შეხვედრა ზღვაში

ჯანავარომ აბრამოვიჩს ჯაჭვლო უთხრა

ფაბიო კანავარომ თავის სამომავლო კლუბად მადრიდის „რეალი“ აირჩია. „აუცილებლად მადრიდში მოვდივარ“ — უთქვამს იტალიის ნაკრების კაპიტანს ყოფილ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან საუბარში. დონ ფაბიომაც, როგორც კი „იუვენტუსის“ მცველისგან თანხმობა მიიღო, „რეალის“ პრეზიდენტ კალდერონთანაც გადარეკა: „მშვიდად იყავით, კანავარო ჩვენთან ითამაშებს...“

ასე რომ, მიუხედავად „ჩელსის“ და „მილანის“ თავგამოდებული მცდელობისა, მუნდიალის ოქროსმედალოსანმა მაინც მადრიდს მიანიჭა უპირატესობა. თუმც „რეალი“ ამით არ კმაყოფილდება — ტურინში მყოფი ესპანელთა სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი კანავაროსთან ერთად, აწ უკვე სერია B-ში დაქვეითებული „იუვენტუსიდან“, ემერსონისა და ძამბროტას წამოყვანას აპირებს. „ელ მონტნეგრინო“ (ჩერნიგორიელი) მიატოვიჩი ძნელ საქმეს შეეჭიდა — იტალიელები სამივეში 45 მილიონ ევროს ითხოვენ მაშინ, როცა „რეალს“ 32-ს ზევით გადახდა არ უნდა...

„იუვეს“ მადა ნაწილობრივ „ჩელსის“ უნდა დავაბრალოთ. კანავარო გასულ სამშაბათს, იტალიურ კუნძულ პონცასთან ახლოს, აბრამოვიჩს თავის იახტაზე შეხვდა და რუსისგან სატრანსფერო შეთავაზება მიიღო. რომან არკადიევიჩი „სტემფორდ ბრიჯზე“ გადასვლის სანაცვლოდ, ფეხბურთელს — სოლიდურ ხელფასს, „იუვენტუსის“ წარმომადგენელს კი 30 მილიონ ევროს შეჰპირდა. „მილანი“ ამდენს ვერ იხდის, მაგრამ არც ის ითქმის, „სან სიროს“ გრანდი ძუნწობსო. თუმც კანავარო მადრიდისკენ მიიწევს და „რეალის“ კონკურენტ კლუბებსაც მსოფლიოს ჩემპიონის დაკარგვასთან შერიგება მოუწევთ.

რუუდ ვან ნისტელროი

„მილანს“ ჯანლუკა ძამბროტამაც უთხრა უარი. ძამბროტა გალიანის კლუბის სამომავლო პროექტის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თამაშების ჩაწყობასთან დაკავშირებულმა სკანდალმა „მილანს“ 2006-07-ის სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე მონაწილეობის უფლება დააკარგვინა, რაც „იუვენტუსის“ მარცხენა მცველს არ ეჭაშნიკება. 29 წლის ფეხბურთელთან ახლა პრედრაგ მიატოვიჩი აწარმოებს მოლაპარაკებას.

ვინც თითქმის უკვე რეალელად უნდა ჩავთვალოთ, ექსმანჩესტერელი და იქაურ მწვრთნელთან ნაჩხუბარი რუუდ ვან ნისტელროია. ინგლისური და ესპანური მედიის ცნობებით, ჰოლანდიელი სამ სეზონს ითამაშებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ახლა გასარკვევი მხოლოდ ისაა, „რეალი“ „მანჩესტერს“ ინგლისელთა სასურველ 18 მილიონ ევროს გადაუხდის, თუ მხოლოდ 14-ს, რასაც ესპანელები თავად სთავაზობენ... „სამეფო თეთრების თავდასხმაში რონალდო-ნისტელროის წყვილი მეტოქეებისთვის სასიკვდილო იქნება“ — ეწერა გუშინ მადრიდულ „ასში“.

ლადო ხომერიკი

კოულმა ვენგერს წიგნი ჩაარტყა



„არსენალიდან“ წასვლის მიზეზები ეშლი კოულმა თავისი ავტობიოგრაფიული წიგნითაც მოამაგრა. წიგნი ჯერ არ გამოსულა, მაგრამ ნაწყვეტების არსი ცნობილია. შარშან პრემიერლიგამ 75 ათასი გირვანქით დააჯარიმა მეთოფეთა მცველი „ჩელსისთან“ საიდუმლო მოლაპარაკებების გამო.

მაგრამ კოული თვლის, რომ ის უბრალოდ, განტევების ვაცად გამოიყენეს: “მათ გამომწურეს და იმაში გამომიყენეს, რომ „ჩელსისთვის“ შეეტიათ. მთელი ჩემი უანგარო სამსახური არაფრად ჩააგდეს და პირდაპირ ზვიგენებთან გადამისროლეს. მე „არსენალს“ ყოველთვის ოჯახად ვთვლიდი, ახლა კი ასე არ არის. კრიზისი, რომელიც პატრიკ ვიეირას გაყიდვისას დაიწყო, დღესაც გრძელდება“.

ამ ნაწერების მიუხედავად, არსენ ვენგერს კოულის გუნდში დარჩენა სურს.

მით უმეტეს, რომ „ჩელსის“ სკანდალის შემდეგ მას ახალი კონტრაქტი გაუფორმეს. ოღონდაც, იქ წერია, რომ კოულს შეუძლია წავიდეს, თუკი ვინმე 16 მილიონ გირვანქას გადაუხდის „არსენალს“.

„გაზეთებზე ხშირად, მინდორზე უნდა ჩანდე — ამბობს ვენგერი — ეშლიმ იცის, რომ მას ბევრი გაუკეთა კლუბმა, ის ჭკვიანი ბიჭია და შეუძლია, იოლად შეადაროს რაღაცეები. ის აირჩევს, რა უფრო მნიშვნელოვანია“.

ირაკლი გამყრელიძე



კარტოფილა
რუნის თავში უზუზუნებს

ზოგიერთი წამალს გადაყლურწავს და ისე დაიძინებს, ზოგიერთი ვისკის ან სულაც რძეს. უეინ რუნი კი თურმე თავისი საცოლის თმის საშრობის ზუზუნის ფონზე მიაბიჯებს სიზმრებისკენ. „როცა მარტო ვარ, ტელევიზორს ჩავრთავ და დაძინებაში ის მეხმარება, მაგრამ უფრო ხშირად ჩემი გელფრენდის თმის საშრობი“ — ასე წერია წიგნში, რომელიც რუნის სახელით გამოვიდა და „ჩემი გრძელი ამბავი“ ჰქვია.

„ჩავრთავ თმის საშრობს, მივაგდებ ლოგინზე და მის ხმაურში ვიძინებ. უკვე იმდენი თმის საშრობი გადავწვი, კოლინი ძალიან ბრაზობს“ — წერს რუნი — „არც მართვევინებს, როცა მარტო ვარ, მიმალავს. ეს უცნაური ჩვევა ბავშვობიდან გამომყვა“.

„ხალხი მინდორზე გხედავს და ჰგონია, რომ შენი ხასიათი იცის, განმარტავს ფეხბურთელი — მაგრამ ეს ასე არ არის. მინდორს გარეთ მე მშვიდი, მგრძნობიარე და მორცხვი ადამიანი ვარ“.

ზიდან-მატერაცის ამბის კვალს რომ გავყვეთ, რუნისაც გვარიანად ამწარებენ მეტოქენი. ხან „კარტოფილას“ ეძახიან, ხანაც „შრეკს“, ოღონდ ის ითმენს. წიგნის მიხედვით, რუნის თავისი ცხოვრების ყველაზე სამარცხვინო ამბად ის მიაჩნია, რომ ლივერპულელ მეძავებთან ყოფილა: „კოლინს ასე არ უნდა მოექცეოდი, თუმცა, საგანგებოდ არ მიქნია. ახლა ეს გამორიცხულია“.

ირაკლი გამყრელიძე

არენაზე კლინსმანს უხმეს



იურგენ კლინსმანი და ბრიუს არენა

მსოფლიოს ჩემპიონატზე უხეირო თამაშის გამო აშშ-ს ნაკრების მწვრთნელი ბრიუს არენა მოხსნეს. არენა შეხვდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ სანილ გულატის და გენერალურ მდივან დენ ფლინს. მათ ოთხი საათის განმავლობაში ისაუბრეს და ამის შედეგად გამოცხადდა მწვრთნელის წასვლის ამბავი.

„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ახალი მწვრთნელი გვჭირდება და ამიტომაც გავუწყვიტეთ კონტრაქტი არენას, რომელმაც რვა წელი იმუშავა საკმაოდ ნაყოფიერად. მან თავისი საქმე ბევრად უკეთ შეასრულა, ვიდრე ველოდით“ — განაცხადა სანილ გულატიმ.

ხოლო ბრიუს არენამ, ვისაც მეიჯორ-ლიგის „ნიუ იორკ რედ ბულზის“ მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებენ, ბრძანა: „ვფიქრობ, ამ რვა წლის განმავლობაში წინ დიდი ნაბიჯი გადავდგით და ჩემს შემცვლელს ნაკრებს კარგ მდგომარეობაში ვუტოვებ. მსურს, მადლობა გადავუხადო თანაშემწეებსა და ფეხბურთელებს, რომლებიც გვერდში მედგნენ. ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მჯერა, რომ აშშ-ში ევროპული ფეხბურთი ძალიან პოპულარული გახდება, მე კი, ალბათ, ცოტა დავისვენებ და სხვა სამუშაოს მოვნახავ“.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ სანილ გულატის არენას შემცვლელად იურგენ კლინსმანი სურს. კლინსმანმა გერმანიის ნაკრებს ბრინჯაო მოაგებინა და პოსტიდან გადადგა. იგი ამერიკაში, კალიფორნიაში ცხოვრობს და გულატის მისი ნახვა არ გაუჭირდება.

„დარწმუნებული ვარ, კლინსმანს შევხვდები. უდიდესი ფეხბურთელი იყო და როგორც მწვრთნელმა, საკმაო გამოცდილებაც შეიძინა. იურგენი ამერიკაში დარჩენას და აქ ცხოვრებას აპირებს. ძალიან ბევრ სპეციალისტს და ქომაგს მიაჩნია, რომ სწორედ ის იქნება საუკეთესო მწვრთნელი ჩვენი ნაკრებისთვის. გვსურს, ისეთ კაცს ჩავაბაროთ გუნდი, რომელიც აქაურ ფეხბურთს კარგად იცნობს. იურგენ კლინსმანი კი ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს“.

გიორგი კაკაბაძე

სამკვირიანი რონალდო

რონალდომ შაბათს რიო დე ჟანეიროს პასტერის ჰოსპიტალში მარცხენა ფეხის წვივზე ოპერაცია გაიკეთა. „ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. რონის კარიერას საფრთხე არ ემუქრება“ — განუცხადა ჟურნალისტებს პასტერის საავადმყოფოს პრესმდივანმა ჟოაო ვიტორმა.

რეალელი კიჭა წვივის არეში ტკივილებს უჩიოდა, მოედანზე სწრაფად გადაადგილებას მიშლისო. ამიტომაც მიენდო ქირურგის სკალპელს — ოპერაცია ბრაზილიის ნაკრების ექიმმა ჟოზე ლუიშ რუნკომ ჩაატარა. იქვე იმყოფებოდა მადრიდის „რეალის“ ექიმი ალფონსო დელ კორალი.

რონალდომ რიოში წასვლამდე უთხრა მედიას, მუნდიალზე წვივმა დამტანჯა, თუმცა სატკივარს ფიზიოთერაპიით და ანთების საწინააღმდეგო პრეპარატით ვებრძოდიო.

როგორც სენიორ ალფონსო დელ კორალი ამბობს, რონი დიდ ფეხბურთს სამი კვირით უნდა ჩამოშორდეს. „ახლა ყველაზე მთავარი მისთვის სიმშვიდეა. მსუბუქ ვარჯიშებს დაახლოებით სამი კვირის შემდეგ იწყებს“ — აღნიშნა ექიმმა.

ლადო ხომერიკი



კიდევ ორი დიდი ფილით



ლუიშ ფელიპე სკოლარიმ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა — 2008-ის ივლისამდე.

57 წლის ბრაზილიელს ხელშეკრულების ვადა ამ თვის ბოლოს გაუდიოდა, მაგრამ ფედერაციამ დაითანხმა და დატოვა, თუმც ახალ ჯამაგირზე არაფერს ამბობენ.

სკოლარის სხვადასხვა კლუბები და ნაკრებები ეპატიჟებოდნენ, მათ შორის, სამშობლოშიც — კარლოს ალბერტო პარეირას შემცვლელად მაგრამ „დიდმა ფილმა“, ვისი თავკაცობითაც ბრაზილია 2002-ში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, უარი შეუთვალა თავისიანებს.

ბრაზილიური „ო გლობოს“ ცნობით სკოლარის, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რიკარდუ ტეიშეირა დაუკავშირდა გერმანია-პორტუგალიის მატჩის შემდეგ, თუმც „დიდმა ფილმა“ იუარა, მიზეზად კი ოჯახური პრობლემები დაასახელა.

ლუიშ ფელიპე სკოლარის ხელში პორტუგალიის ნაკრები ევრო 2004-ის ფინალში საბერძნეთთან დამარცხდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში ფრანგებთან წააგო, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩში მასპინძელმა გერმანელებმა აჯობეს 3:1.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2008-ის შესარჩევ A ჯგუფში პორტუგალიასთან ერთად არიან: ბელგია, ფინეთი, პოლონეთი, სერბეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და ყაზახეთი.

ლადო ხომერიკი

ინტერტოტოს თასი 2006

III ეტაპი. პირველი მატჩები

15 ივლისი

კალმარი (შვედეთი) 1:0 **ტვენტე** (ჰოლანდია)
მაკაბი (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი) 0:2 **ეთნიკოსი** (კვიპროსი)
ნიუკასლი (ინგლისი) 1:1 **ლილესტრიომი** (ნორვეგია)
ოდენსე (დანია) 1:0 **ჰიბერნიანი** (შოტლანდია)
გრასჰოპერი (შვეიცარია) 2:1 **გენტი** (ბელგია)
რიდი (ავსტრია) 3:1 **ტირასპოლი** (მოლდოვა)
ლარისა (საბერძნეთი) 0:0 **ქაისერისფორი** (თურქეთი)
მარსელი (საფრანგეთი) 0:0 **დნიპრო** (უკრაინა)
ოსერი (საფრანგეთი) 4:1 **ფარული** (რუმინეთი)
ვილიარეალი (ესპანეთი) 1:2 **მარიბორი** (სლოვენია)

16 ივლისი

ჰერტა (გერმანია) 0:0 **მოსკვა** (რუსეთი)

ალბერტო ლუკემ (შუაში) გოლით გაიხარა

ყვითელი სირცხვილი

წინა სეზონის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი „ვილიარეალი“ საკუთარ მოედანზე შერცხვა. ესპანელები „ელ მადრიგალზე“ ტრადიციულად ძალიან ძლიერად თამაშობენ, მაგრამ სლოვენიურმა „მარიბორმა“ „ყვითლების“ კარს გასაღები მოარგო.

მანუელ პელეგრინი ორი წამყვანი არგენტინელის, ხუან რომან რიკელმესა და ხუან პაბლო სორინის, გარეშე თამაშობდა. სამაგიეროდ, გუნდის ახალწვეულების — რობერ პირესისა და ნიჰათ კავეჩის — დებიუტი შედგა.

სტუმრები პირველი ტაიმის მიწურულს მილან რაკიჩმა საჯარიმო დარტყმით დააწინაურა. 47-ე წუთზე კი „ვილიარეალს“ ხოსემი გაუძევეს. მიუხედავად ამისა, დიეგო ფორლანმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 9 წუთით ადრე რენე მიხელიჩმა სლოვენიელთა გამარჯვებისა გაიტანა.

სენსაციური შეგვიძლია ვუწოდოთ „სენტ ჯეიმს პარკზე“ გამართულ მატჩსაც. „ნიუკასლმა“ ნორვეგიულ „ლილესტრიომთან“ პირველი ტაიმი წააგო, მაგრამ შეხვედრის ფრედ დასრულება მოახერხა. ანგარიში, ამჟამად „ჯორდების“ ერთადერთმა ჯანმრთელმა ფორვარდმა ალბერტ ლუკემ გაათანაბრა. ესპანელმა ბრწყინვალე დარტყმით შეაგდო. ბოლო წუთებზე ინგლისელებს მოგებაც შეეძლოთ, ალან ობრაიენმა ცოტათი ააცილა კარს.

ფრანგულმა „მარსელმა“ საკუთარ „ველოდრომზე“ ვერაფერი მოუხერხა უკრაინულ „დნიპროს“. ფრანკ რიბერის გარეშე მოთამაშე მასპინძლებს რამდენიმე კარგი შანსი კი ჰქონდათ, მაგრამ... სტუმრები კი კონტრიერიშებზე თამაშობდნენ და მწარედაც იკბინებოდნენ.

სამაგიეროდ, გაილალა მეორე ფრანგულმა კლუბმა „ოსერმა“, რომელმაც, შეიძლება ითქვას, რუმინულ „ფარულს“ პირველივე მატჩში მოუმთავრა საქმე. ტომას კალენბერგმა ლამაზი ჯარიმა შეაგდო, ერთიც ლიონელ მატისს გაატანინა. თავი ლუიჯი პიერონიმაც გამოიჩინა. მეოთხე გოლი კი სტუმრებს, შეცვლაზე შესულმა ალან ტრაორემ გაუტანა. 17 წლის პერსპექტიული ფეხბურთელისთვის ეს პირველი გოლი იყო პროფესიულ კარიერაში.

ისრაელის „მაკაბი“ შინ დამარცხდა კვიპროსულ „ეთნიკოსთან“ და, ალბათ, ამ დუელში ყველაფერი გადაწყდა. სტუმართაგან მეორე გოლი ჩვენებურმა ლევან ქებაძემ გაიტანა.

ბელგიურმა „გენტმა“ მიხალ ჟევლაკოვის მე-3 წუთზე გატანილი გოლით ტაიმი მოუგო „გრასჰოპერს“, მაგრამ შვეიცარიელებმა ხუთწუთიან მონაკვეთში მატჩის შემობრუნება შეძლეს.

შვედურმა „კალმარმა“ მიკაელ ბლუმბერგის პენალტით მინიმალური სხვაობით მოუგო „ტვენტეს“. თეთრმეტმეტრიანი რამონ ზომერმა აიკიდა წითელ ბარათთან ერთად, მაგრამ სკანდინავიელებმა მეტი ვეღარ შეძლეს. ანალოგიური ანგარიშით იმარჯვა დანიურმა „ოდენსემ“, რომელსაც შოტლანდიური „ჰიბერნიანის“ კარში ბევრად მეტი უნდა გაეტანა, მაგრამ შანსები გაანიავა.

თბილისის „დინამოს“ გამომგდებმა „რიდმა“ საკმოდ იოლად მოუგო „ტირასპოლს“. „ლარისასა“ და „ქაისერის“ ბერძნულ-თურქული დაპირისპირება კი უგოლოდ დასრულდა.

ძოძი ძანდელაძი

ფურლანელო: მკვლელობის მცდელობა ზიდანისგან

მარკო მატერაცი ზიდანის ცნობილ თავურს შესაძლოა მოეკლა კიდეკაც. ყოველ შემთხვევაში, იტალიელი ექიმი ფრანჩესკო ფურლანელო ასე მიიჩნევს. „დამტკიცებულია, რომ გულმკერდის არეში მსგავსი ძლიერი დარტყმა ხშირ შემთხვევაში გულის გაჩერების და ახალგაზრდა ათლეტების სიკვდილის მიზეზი ხდება“ — განაცხადა პროფესორმა ფურლანელომ.

იგი გამოცდილი ექიმია და მოედანზე ფეხბურთელების უეცარ სიკვდილიანობას იკვლევს. „არ დაგავიწყდეთ, მატერაცის უმძიმესი დარტყმა იტალია-საფრანგეთის ფინალის მეორე დამატებით ტაიმში მიიღო, ანუ მაშინ, როცა მატჩის მონაწილე ფეხბურთელები ფიზიკურად ძალიან გადატვირთულნი იყვნენ. დიდი იყო შანსი იმისა, რომ ზიდანსა და იტალიელს შორის ინციდენტი ამ უკანასკნელისთვის ფატალურად დასრულებულიყო“ — ამბობს ფრანჩესკო ფურლანელო.

ლადო ხომერიკი

ვერ დავიფიცებ!

ფაბიან ესტოიანოფი

ლა კორუნიის „დეპორტივომ“ „ვალენსიადან“ ფაბიან ესტოიანოფი ერთი წლით ითხოვა. „ჩვენი მიზანი მომავალ სეზონში ევროთასზე თამაშია. ვერ დავიფიცებ, რომ ძალიან ბევრ გოლს გავიტანთ, მაგრამ გპირდებით — თანაგუნდელებს დავეხმარები“ — განაცხადა 23 წლის ურუგვაელმა ნახევარმცველმა, მის წარსადგენად მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

ფაბიან ესტოიანოფი „ვალენსიაში“ 2005-ში ხუთი წლით გადავიდა, მაგრამ „ღამურებმა“ იგი შარშან „კადისს“ იჯარით დაუთმეს.

მას ურუგვაის ნაკრებში 23-ჯერ უთამაშია, „დეპორის“ მწვრთნელ ხოაკინ კაპაროსისთვის კი მეშვიდე საზაფხულო შენაძენია. ლაკორუნიელებმა უკვე გადაიბირეს: მცველი ალბერტო ლოპო; ნახევარმცველები: პაბლო ალვარესი, ხუან როდრიგესი; ფორვარდები: კრისტიან იდალგო, როდოლფო ბოდიპო და რიკი.

მათ გარდა, გალისიურ კლუბს „ლივერპულის“ მცველ ანტონიო ბარაგანისა და „რასინგის“ მეკარე დუდუ აუატეს წაყვანაც სურს.

„დეპორს“ კი ექვსთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, 31 წლის ნახევარმცველი კარლოს ვალერონი დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ვალერონს მუხლის ტრავმა ჰქონდა და ამის გამო ნახევარი სეზონი გაუცდა.

გიორგი დარჯანია

ვერონმა თითი პეკერმანს დააადო



ხუან სებასტიან ვერონმა არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ხოსე პეკერმანი გააკრიტიკა. „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელი და ამჟამად პატაგონიური „ესტუდიანტესის“ ფორვარდი, ბევრი მისი თანამემამულისგან განსხვავებით, არც „ალბისელესტეს“ მუნდიალზე თამაშით დარჩენილა კმაყოფილი და არც ხოსე პეკერმანის ტაქტიკა მოსწონებია.

„არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალიდან გავარდა. რა თქმა უნდა, ვაფასებ იმ გულშემატკივრებს, სამშობლოში დაბრუნებულ ნაკრების ფეხბურთელებს სიმღერებით რომ ამხნევებდნენ, მაგრამ სამხიარულო და სასიმღერო ბევრი მაინც არაფერი გვაქვს — წესით, მეოთხედფინალში წაგება ჩვენი გუნდისთვის სირცხვილი უნდა იყოს“ — განაცხადა ვერონმა.

ფეხბურთელის აზრით, გერმანელებთან ფიასკო მეტწილად პეკერმანის „დამსახურებაა“: „შეცდომა იყო მაშინ მოედნიდან რიკელმეს გაყვანა. პეკერმანმა მინდორზე კამბიასოს, უკან დაწეულ ნახევარმცველს უხმო და ამით არგენტინის შემტევი პოტენციალი შეასუსტა. წავაგეთ კიდევაც, სხვა რაღა უნდა მომხდარიყო“.

ვერონმა ისიც აღნიშნა, ლუჩო გონსალესი ვერც ბურთს გააკონტროლებს. რიკელმესა და აიმარივით და ვერც კონტრშეტევებზე, ტევესის ან მესის მსგავსად იაქტიურებსო. „გონსალესი მხოლოდ თანმხლები, კომპანიონი ფეხბურთელია“ — ამბობს „ესტუდიანტესის“ თავდამსხმელი.

ოკეანისგაღმელ მოთამაშეს „შორიდან“ ნაკრების ცქერაზე მუნდიალის დროს ნერვები ეშლებოდა: „მე ვთვლი, რომ ნაკრებში უნდა მივეწვიე, თუმც პეკერმანმა სხვანაირად გადაწყვიტა.“

ლადო ხომერიკი

კარგად დავაკვირდით რობერტოს

არგენტინის ნაკრების 33 წლის მეკარე რობერტო აბონდანსიერი ამიერიდან მადრიდულ „ხეტაფეში“ ითამაშებს. „რამდენიმე სხვა მეკარეს ვაკვირდებოდით. მათ შორის, ფავორიტები, მექსიკის ნაკრების გოლკიპერი ოსვალდო სანჩესი და მილანის „ინტერის“ ურუგვაელი ფაბიან კარინი იყვნენ. საბოლოოდ, მაინც რობერტოსთან შეთანხმება ვარჩიეთ. აბონდანსიერი ჩვენთან სატრანსფერო წესების სრული დაცვით გადმოვიდა, დანარჩენების მიზანი კი მხოლოდ იჯარით გადმოსვლა იყო“ — განაცხადა „ხეტაფეს“ პრეზიდენტმა ანხელ ტორესმა.

რობერტო აბონდანსიერი „კოლიზეუმ ალფონსო პერესზე“ მომავალი სამი წლის განმავლობაში დარჩება. „ხეტაფეს“ წევრი გახდა ლუკას მატიას ლიჩიც. „ხიმნასია ლა პლატას“ 25 წლის ექსფეხბურთელი „ალფონსო პერესზე“, „ატლეტიკოში“ გადაბარგებულ მარიანო პერნიას შეცვლის.

ლადო ხომერიკი

ძუნწი კაცის მოჯანყენი

დუგ ელისი

„ასტონ ვილას“ ფეხბურთელებმა შაბათს, კლუბის თავმჯდომარე დუგ ელისს შეუტიეს.

საერთო განცხადებაში ნათქვამია, რომ ელისს არანაირი ამბიცია არა აქვს და კლუბის განვითარებაზე არ ზრუნავს.

ოქტომბრიდან „ასტონ ვილას“ გაყიდვა იყო გამოცხადებული, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა და ძუნწი ელისის ხელშეკრულებას ხეირი არ მოელის.

მენეჯერმა დევიდ ოლირიმ ახალი ფეხბურთელები ვერ იყიდა და თანაშემწენიც წაუვიდნენ.

ალბათ წავლენ მილან ბაროში, ოლაფ მელბერგი და ხუან პაბლო ანხელიც.

ელისი 1982 წლიდან „ვილას“ თავმჯდომარეა და მანამდეც ბარე 15 წელიწადს მისი მეწილე იყო.

„ასტონ ვილას“ დიდი კლუბის სახელი აქვს და 1982 წელს ჩემპიონთა თასიც კი მოიგო, მაგრამ ბებერმა მილიარდერმა ის საშუალო კლუბად აქცია.

ფეხბურთელთა განცხადებაში უამრავი სიძუნწეა ჩამოთვლილი. ყველაზე თვალშისაცემი კი ისაა, რომ ელისმა სავარჯიშო მინდვრების მორწყვა აკრძალა, რათა სამასი გირვანქა არ გადაეხადა...

ირაკლი გამყრელიძე

ზლატკო გაუფასურდა

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი ზლატკო კრანჩარი სამსახურიდან დაითხოვეს — მისი თავკაცობით გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ვერ გააღწია.

„ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ვთქვით, რომ ჯგუფში ჩარჩენის შემთხვევაში მწვრთნელს გავათავისუფლებდით და ასეც მოხდა — განაცხადა ხორვატიის ფეხბურთის ასოციაციის შეფმა ვლატკო მარკოვიჩმა — თუმც კრანჩარი ამბობს, რომ გუნდს ფატალურად არ გაუმართლა ჯგუფის სამივე შეხვედრაში და ის ვერაფერს შეცვლიდა“.

ხორვატები F ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდნენ. პირველ მატჩში ბრაზილიასთან 0:1 დამარცხდნენ, შემდეგ კი იაპონიასთან 0:0, ხოლო ავსტრალიასთან 2:2 ითამაშეს.

გერმანიიდან უსახელოდ დაბრუნების შემდეგ ზლატკო კრანჩარი გააკრიტიკა ყველამ, ვისაც არ ეზარებოდა. 49 წლის მწვრთნელი კი თავს იმართლებდა და გაიძახოდა, რომ მისი ტაქტიკა სწორია და გუნდში შვილის აყვანაც გამართლებულია.

„მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ერთხელაც კი არ მითქვამს, ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ-მეთქი“ — ბრძანა კრანჩარმა, რომელიც ნაკრების თავკაცად 2004-ში დანიშნეს. ვალტერ მარკოვიჩი მის შემცვლელს უახლოეს ხანში მოძებნის.

გიორგი კაკაბაძე

ნალჩიკი სატურნზე გაფრინდა

დმიტრი ლოსკოვი

დებიუტანტ ნალჩიკის „სპარტაკს“ 12 მატჩი დასჭირდა საიმისოდ, რომ ისტორიაში პირველად ცხრილის თავში მოქცეულიყო. მართალია, მოქმედი ჩემპიონი ცსკა და „რუბინი“ მოგვიანებით, 19 ივლისს თამაშობენ თავ-თავის შეხვედრებს, მაგრამ ნალჩიკელებისთვის ეს არაფერს ნიშნავს — სულ მცირე სამი დღე, საზეიმო მიზეზი აქვთ.

ჩრდილოკავკასიური გუნდი რამენსკოის „სატურნს“ ეწვია, რომელსაც ამ ტურამდე ყველაზე ცოტა, ექვსი გოლი ჰქონდა გაშვებული, რაც დაცვის სიმყარეზე მიუთითებდა, მაგრამ ნალჩიკელებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენეს.

მასპინძლები იგორ ლებედენკოს გოლით დაწინაურდნენ და პირველი ტაიმი მშვიდად ჩაამთავრეს, თუმც შესვენების შემდეგ სტუმრებმა დამხვდურებისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს — კონცედალოვმა მეორე ნახევრის დაწყებიდან ორ წუთში გაათანაბრა, ხოლო შეხვედრის ბოლო ხუთ წუთში „სპარტაკმა“ სამგოლიანი ფესტივალი მოიწყო. ჯერ კორჩაგანმა შეასრულა დუბლი, ბოლოს კი დაჭრილი „სატურნი“ სერდიუკოვმა მიასიკვდილა.

ნალჩიკური კლუბის მოსკოველ სეხნიასაც შეეძლო ზედა სამეულში შეძრომა, მაგრამ ტომსკში ვერ მოიგო. მოსკოვის „სპარტაკი“ მეთოთხმეტე წუთისთვის 2:0-ს იგებდა და თითქოს თავი ქუდში ჰქონდა, თუმც ტომსკელებმა შესვენებამდე ერთი გაქვითეს, მატჩის მიწურულს კი მეორეც შეაგდეს და დედაქალაქელები ქულით გაისტუმრეს.

სხვა მხრივ კი, აღსანიშნავია „ლოკომოტივის“ გამარჯვება. სლავოლუბ მუსლინის ხელში გუნდი ნელ-ნელა ათამაშდა და ცხრილის თავისკენ მიიწევს. რკინიგზელთა კაპიტანმა დმიტრი ლოსკოვმა ამ მატჩში დუბლი შეასრულა და ბოლო ორ შეხვედრაში სამი გოლი მოუგროვდა.

ვაჟა ხუციშვილი

რუსეთი

პრემიერლიგა. XII ტური

ამკარი 0:0 ლუჩ-ენერგია

ტომი 2:2 სპარტაკი (მ)

0:1 პავლიუჩენკო (63), 0:2 კავენაგი (14), 1:2 პოგრებნიაკი (38), 2:2 კრუნიჩი (88პ)

სატურნი 1:4 სპარტაკი (ნ)

1:0 ლებედევნო (22), 1:1 კონცედალოვი (47), 1:2 კორჩაგინი (81პ), 1:3, 1:4 სერდიუკოვი (88, 90)

შინიკი 1:3 ლოკომოტივი

0:1 სიჩოვი (5), 1:1 ხაზოვი (15), 1:2, 1:3 ლოსკოვი (23, 85)

როსტოვი 2:2 კრილია

0:1 მედვედევი (45), 1:1 კრუშიჩი (51), 1:2 ბობერი (87), 2:2 ბოჩკოვი (89)

სპარტაკი ნ.	12	7	3	2	20:12	24
ცსკა	11	7	1	3	18:8	22
სპარტაკი მ.	12	5	6	1	24:15	21
ლოკომოტივი	12	6	3	3	24:16	21
რუბინი	11	6	3	2	16:10	21
კრილია	12	5	4	3	19:13	19
ტომი	12	5	3	4	12:12	18
ლუჩ-ენერგია	12	4	3	5	14:14	15
მოსკვა	11	4	3	4	12:14	15
ზენიტი	11	3	5	3	14:15	14
სატურნი	12	2	7	3	9:10	13
როსტოვი	12	3	4	5	14:16	13
ამკარი	12	2	5	5	7:18	11
ტორპედო	11	1	5	5	7:15	8
დინამო	11	1	4	6	6:12	7
შინიკი	12	1	3	8	6:22	6

ამსანაგური მატჩები

15 ივლისი: სირია — ერაყი 1:3; ზამბია — ზიმბაბვე 2:1; ერუანდი — პაირატსი (სამხრეთ აფრიკა) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 0:4; დანფერმლაინი (შოტლანდია) — გრეტნა (შოტლანდია) 1:3; ეკსეტერი (ინგლისი) — ფულემი (ინგლისი) 1:0; უტრეხტი (ჰოლანდია) — დორდრეხტი (ჰოლანდია) 1:1; ელგინი (შოტლანდია) — კილმარნოკი (შოტლანდია) 0:3; პრესტონი (ინგლისი) — ჰართსი (შოტლანდია) 1:2; რექსემი (ინგლისი) — ლივერპული (ინგლისი) 0:2; ფორფარი (შოტლანდია) — სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) 1:5; ბარნეტი (ინგლისი) — არსენალი (ინგლისი) 0:2; პორტ ვეილი (ინგლისი) — ევერტონი (ინგლისი) 0:2; დონსი (ინგლისი) — დერბი ქაუნთი (ინგლისი) 1:2; გრონინგენი (ჰოლანდია) — ფოლკირკი (შოტლანდია) 1:2; რენი (საფრანგეთი) — ლეგია (პოლონეთი) 1:2; ანდერლეხტი (ბელგია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2:1; ბრონდბიუ (დანია) — ნიურნბერგი (გერმანია) 0:3; შვანენშტადტი (ავსტრია) — ზალცბურგი (ავსტრია) 0:3; კარლსრუე (გერმანია) — აარაუ (შვეიცარია) 2:2; ბაიერნი (გერმანია) — სტრასბური (საფრანგეთი) 0:2; ლილი (საფრანგეთი) — ამიენი (საფრანგეთი) 2:0; ლუშტენაუ (ავსტრია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) 0:2; სოშო (საფრანგეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2:2; სტანდარდი (ბელგია) — ალემანია (გერმანია) 1:0; ტელსტარი (ჰოლანდია) — ჰერენვენი (ჰოლანდია) 1:2; პსჟ (საფრანგეთი) — ტური (საფრანგეთი) 3:2; სედანი (საფრანგეთი) — ისტრი (საფრანგეთი) 1:1; ტრუა (საფრანგეთი) — დიჟონი (საფრანგეთი) 1:1; ტულუზი (საფრანგეთი) — მონპელიე (საფრანგეთი) 1:1; ნანტი (საფრანგეთი) — სლოვაკეთი (ჩეხეთი) 2:2; ტინენი (ბელგია) — გენკი (ბელგია) 2:5; ვალანსიენი (საფრანგეთი) — შარლეროა (ბელგია) 1:3; ლანსი (საფრანგეთი) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი) 0:2; სიონი (შვეიცარია) — ბენფიკა (პორტუგალია) 3:2; ლომელი (ბელგია) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 0:1; გრენნენი (გერმანია) — ქსამაქსი (შვეიცარია) 1:6; ციურიხი (შვეიცარია) — ლევერკუზენი (გერმანია) 4:1; თუნი (შვეიცარია) — იუვენტუსი (შვეიცარია) 1:0; იანგ ბოისი (შვეიცარია) — კიოლნი (გერმანია) 3:0

16 ივლისი: იანგ ბოისი (შვეიცარია) — ლევერკუზენი (გერმანია) 1:0; კილი (გერმანია) — დორტმუნდი (გერმანია) 0:3; ბაზელი (შვეიცარია) — კიოლნი (გერმანია) 2:1; გრენობლი (საფრანგეთი) — ლიონი (საფრანგეთი) 0:5; ესენი (გერმანია) — ვერდერი (გერმანია) 0:5

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XII ტური

კტპ — ლაჰტი 2:1; ტურკუ — ვაასა 2:1; ჰონკა — ინტერი 6:0

ტამპერე	10	8	1	1	17:7	25
ჰონკა	12	7	2	3	29:16	23
ტურკუ	12	6	2	4	23:17	20
მარიეჰამნი	12	5	4	3	17:12	19
ჰაკა	11	5	3	3	11:7	18
ჰიკ	11	4	3	4	12:11	15
მიუპა	11	4	3	4	11:10	15
ვაასა	11	3	3	5	12:14	12
ლაჰტი	12	3	3	6	9:17	12
იარო	10	3	2	5	13:13	11
ინტერი	9	3	2	4	8:13	11
კტპ	10	3	1	6	9:21	10
კუოპიო	11	1	3	7	7:20	6

შვედეთი

ალსვენსკა. X ტური

მალმიო — აიკ 3:1; იურგორდენი — ელფსბორგი 1:1; ჰალმსტადი — გიოტებორგი 1:4. ჰამარბი — იოსტერსი და ჰელსინგბორგი — ჰეკენი დღეს გაიმართება

ჰამარბი	9	6	2	1	17:10	20
გიოტებორგი	10	5	3	2	16:9	18
აიკ	10	5	3	2	18:12	18
მალმიო	10	5	3	2	14:9	18
ელფსბორგი	10	4	5	1	14:10	17
იურგორდენი	10	4	4	2	11:8	16
კალმარი	9	4	2	3	12:8	14
გეფლე	9	3	3	3	8:11	12
ჰელსინგბორგი	9	2	4	3	12:12	10
გაის	9	2	3	4	8:12	9
ჰალმსტადი	10	1	5	4	4:9	8
ჰეკენი	9	1	4	4	9:12	7
იოსტერსი	9	1	2	6	4:17	5
იორგრიტე	9	0	3	6	6:14	3

სუპერლიგა. XVI ტური

ლანდსკრონა — ლიუნგსკილე 1:0; სუნდსვალი — ფალკენბერგი 1:1; ვასბი — ქვიდინგი 1:1; ტრელებორგი — ნორჩიოპინგი 0:0

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა

XVIII ტური

ნიუ იორკი — კოლორადო 1:0; ნიუ ინგლენდი — სოლტ ლეიკი 1:3; ჩიკაგო — დალასი 2:3; ვაშინგტონი — კოლუმბუსი 3:2; კანზასი — ჰიუსტონი 2:3; ჩივასი — ლოს ანჯელესი 0:0

ნორვეგია

ტიპელიგა. XIII ტური

ოდ გრენლანდი — სტარტი 2:0; რუსენბორგი — ფრედრიკსტადი 1:0; სანდეფიორდი — მიოლდე 5:2; სტაბეკი — ჰამ კამი 4:0; ტრომსიო — ვოლერენგა 0:1. ბრანი — ვიკინგი დღეს გაიმართება

ბრანი	12	7	4	1	19:11	25
ლილესტრომი	12	6	4	2	21:14	22
რუსენბორგი	13	5	6	2	18:13	21
სტაბეკი	13	4	7	2	19:13	19
ოდ გრენლანდი	13	4	7	2	18:13	19
ვოლერენგა	13	5	4	4	16:13	19
სანდეფიორდი	13	5	3	5	18:20	18
ჰამ კამი	13	4	3	6	18:18	15
ლინი	12	4	3	5	11:14	15
ვიკინგი	12	3	5	4	10:12	14
მიოლდე	13	4	2	7	15:22	14
ფრედრიკსტადი	13	3	4	6	16:23	13
სტარტი	13	2	6	5	10:16	12
ტრომსიო	13	2	4	7	11:18	10

პირველი დივიზიონი

XIV ტური

ბოდიო გლიმტი — სოგნდალი 2:2; ბრინი — მოსი 1:5; ფოლო — ჰიოდი 3:1; ჰაუგესუნდი — ჰინენფოსი 1:2; კონგსვინგერი — ალესუნდი 0:5; ოსლო იოსტი — ლოვ ჰამი 2:2; პორს გრენლანდი — ტრიომსდალენი 3:1; სტრიომსგოდსეტი — სპარტა 2:1

სლოვაკეთი

პირველი ლიგა. I ტური

სენეცი — ნიტრა 0:1; ბანსკა ბისტრიცა — ჟილინა 2:1; დუბნიცა — ინტერი 5:2; სლოვანი — ტრენჩინი 2:1; კოშიცე — არტმედია 2:0; რუჟომბეროკი — ტრნავა 4:0

დანია

სუპერთასი

ფინალური ჯგუფი

(თითოტაიმიანი)

ვიბორგი — ბრონდბიუ 1:1; კოპენჰაგენი — ვიბორგი 2:1; კოპენჰაგენი — ბრონდბიუ 0:1

უკრაინა

სუპერთასი

დინამო 2:0 შახტარი

1:0 მარკოვიჩი (10), 2:0 მილევსკი (87)

რეკლამა სარბიელ-ში
ტელ: 38-111-14, 877 54 55 00

სარბიელი ჯ კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		18 ივლისი						
21:30	1	აუსტრია-ვრაცერი	1.45	4.00	6.20	1.06	1.17	2.43
		19 ივლისი						
21:30	2	ალტახი-პაშინგი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
21:30	3	მატერსბურგი-რაპიდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:30	4	რიდი-ზალცბურგი	3.70	3.20	1.85	1.71	1.23	1.17
21:30	5	შტურმი-ტიროლი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		19 ივლისი						
21:45	11	აარაუ-თუნი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
21:45	12	გრასჰოპერი-სიონი	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
21:45	13	შაფჰაუზენი-სტ.გალენი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
21:45	14	იანგ ბოიზი-ბაზელი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
22:15	15	ლუცერნი-ციურიხი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
		რუსეთი						
		19 ივლისი						
16:00	30	მოსკოვი-ტორპედო	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
16:00	31	დინამო-რუბინი	2.60	2.90	2.60	1.37	1.29	1.37
16:00	32	ზენიტი-ცსკა	2.85	2.80	2.55	1.41	1.34	1.33

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		დანია. სუპერლიგა						
		19 ივლისი						
21:00	46	ოლბორგი-ვიბორგი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
21:00	47	ბრიონდბიუ-ვეილე	1.17	5.80	13.00	1.00	1.07	4.01
21:00	48	ესბიერგი-სილკებორგი	1.85	3.40	3.85	1.19	1.24	1.80
21:00	49	ჰორსენსი-კოპენჰაგენი	8.00	4.00	1.40	2.66	1.19	1.03
21:00	50	ნორდსიელანდი-რანდერსი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
21:00	51	ოდენსე-მიდტიულანდი	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81
		ნორვეგია						
		ტიპელიგა						
		17 ივლისი						
21:00	58	ბრანი-ვიკინგი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
		შვედეთი. ალსვენსკა						
		17 ივლისი						
21:00	74	ჰამარბი-იოსტერსი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
22:00	75	ჰელსინგბორგი-ჰეკენი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21
		18 ივლისი						
21:00	76	გაის-გეფლე	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
		19 ივლისი						
21:00	77	იორგრიტე-კალმარი	2.75	3.30	2.35	1.50	1.26	1.37

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ლრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
	მოსკოვის გამზირი №6	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39	
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

დედოფალი ქუთაისში დაგვენახა

„დედოფლის“ იმედი — ნანა კაშია

4X100 მეტრზე გამარჯვებული თბილისელთა გუნდი: ქეთინო კუპატაძე, გვანცა კოკოლაძე, იულია დუბინა და მაია გოგოლაძე

განახლებული თბილისის ეროვნული სტადიონის მწყობრში ჩადგომას ფეხბურთელებთან ერთად მოუთმენლად ელიან სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, მძლეოსნები. ისინი ამ სტადიონს დიდ იმედებს უკავშირებენ და არაერთი საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობასაც ფიქრობენ და იმედოვნებენ, რომ გულშემატკივარი „სპორტის დედოფლისკენ“ კვლავ გამოიხედავს

სამტომსა და 110 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებული სერგო ტურიატკო

„ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება გახლავთ კავკასიის თასის გათამაშება, რომელსაც ამ შემოდგომაზე სოჭმა უნდა უმასპინძლოს — გვეუბნება საქართველოს მძლეოსანთა ფედერაციის გენერალური მდივანი მაია აზარაშვილი — შეჯიბრებაში მიწვეულნი არიან საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ისრაელის, ირანის, თურქეთისა და რუსეთის გუნდები. რუსეთი, შესაძლოა, სარბიელზე ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების გუნდებით გამოვიდეს. წლეულს რაღა იქნება, გაისად კი ამ შეჯიბრების მასპინძლობას განახლებულ ეროვნულ სტადიონზე შევეცდებით. მანამდე ჩვენი მძლეოსნები სტუმრად სოჭში გამოვლენ, რისთვისაც თადარიგი გვიჭირავს. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მოსამზადებლად ქუთაისში გამართული საქართველოს ჩემპიონატიც გამოვიყენეთ, რომელიც შაბათს დასრულდა.“

ამ ჩემპიონატში, როგორც ვიუწყებოდით, საკმაოდ გუნდებმა მოიყარეს თავი. ესენი იყვნენ: თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ზუგდიდის, ოზურგეთის, მარტვილის, ვანის, გარდაბნის, დუშეთისა და მასპინძელ ქუთაისელთა გუნდები. ისინი სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაჰყვეს, რამაც მათ გუნდური პირველობისთვის ბრძოლის მეტი ჟინი გაუღვივა.

პირველი ჯგუფის ბინადართაგან, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელიბმა იმარჯვეს (570 ქულა), მომდევნო ადგილებზე კი ქუთაისსა (390) და ზუგდიდის (245) წარმომაღგენლები გავიდნენ.

მეორე ჯგუფის გუნდებში საუკეთესო სამეული ასე განაწილდა: აჭარა (209), ჭიათურა (165) და მარტვილი (105).

პირად პირველობაში ძირითადად მაინც ახალგაზრდა, გამოუცდელი სპორტსმენები გამოდიოდნენ. მათგან შეჯიბრების პირველ დღეს, როგორც ვიუწყებოდით, 14 წლის ქუთაისელმა ნანა კაშიამ 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა (12,7წმ).

საქართველოს მძლეოსნობის პირველი ვიცეპრეზიდენტისა და ამავე ორგანიზაციის მთავარი მწვრთნელის ყარამან საბანაშვილის აზრით, კაშიას გარდა პერსპექტიული სპორტსმენები არიან სალომე რიგიშვილი, გიორგი ბედოშვილი, ენდრო ზილბერშტეინი და სხვები. თიანეთელმა რიგიშვილმა ბადროს ტყორცნაში იყოჩაღა და გაიმარჯვა (33,09მ). თბილისელმა ბედოშვილმა, დიდებისგან ტანკუთხნილ ლოგარმიანი ბადრო 44,[illegible] მეტრზე სტყორცნა და ჩემპიონობაც [illegible]მა. ახალგაზრდა ენდრო ზილბერშტეინმა კი, რომელიც საქართველოში კარგად ცნობილ, გრძელ დისტანციებზე მორბენალი ზიგმუნდ ზილბერშტეინის ბიძაშვილია, 400 მეტრზე შეჯიბრებაბში იმარჯვა (49,9წმ).

ყველა ეს სპორტსმენი და კიდევ რამდენიმე ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ემზადება და მათთვის საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ქუთაისში ძალებს ცდიდა პარიზში გამართული ამგვარი ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონი ბირთვის კვრაში, ოზურგეთელი მამუკა ტულუშიც, რომელმაც შინაურ პირველობაშიც იმარჯვა (15,98მ).

ახლა საქართველოს ჩემპიონატში, რა თქმა უნდა, ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული მძლეოსნებიც გამოვიდნენ. მათგან ჩემპიონები გახდნენ გაიანე უსტიანი (400 მეტრზე რბენა — 59,8წმ) და ქუთაისელი სერგო ტურიატკო (სამხტომი — 15,2სმ).

სხვათაგან აღსანიშნავია აფხაზეთიდან ლტოლვილის, თენგიზ ღვინჯილიას გამარჯვება 800 მეტრზე რბენაში (1.56,6) ხოლო თბილისელი გიორგი შეყილაძე ამ შეჯიბრების ორგზის ჩემპიონი გახდა 3000 და 5000 მეტრზე რბენაში.

ავთანდილ ბყვიშელი

ოქროს ლიგას ოქროს გოგო-ბიჭები არ აკლდებიან

პარასკევლამ რომის ოლიმპიურ სტადიონზე ოქროს ლიგის მესამე ეტაპზე გამოფენილი ვარსკვლავების საცქერად 40 000 რომაელი მივიდა, რაც მძლეოსნობისთვის გვარიანი პუბლიკაა. ფეხბურთისთვის იტალიური სერია A-ს საზომითაც არაა მცირე ოდენობა. მორბენლებმაც კარგი სანახაობა დადგეს და ხალხი კმაყოფილი გაუშვეს შინ.

საღამოს გმირი გახლდათ ამერიკელი 400 მეტრზე მორბენალი ჯერემი უორინერი, რომელიც სადაც გამოჩნდება, ყველგან ყველაფერს იგებს და წლეულსაც ბადალი არ ჰყავს: ოქროს ლიგაზე — ოსლოშიც მოიგო, პარიზშიც და აგერ, რომშიც ყველას ანახა თავისი ზურგი და ტერფები. ის მილიონიანი ჯეკპოტის მოხელთების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად რჩება.

ჯერემი უორინერი

რომის ეტაპმა ამ მხრივ არაფერი შეცვალა, ლიგაში წაუგებელმა ოთხეულმა იტალიის დედაქალაქშიც მოიგო და სანახევროდ გალია ოქროს გორაკისკენ მიმავალი გზა. შეგახსენებთ, რომ მილიონი დოლარის ღირებულების ოქროს ზოდების მეტ წილს ისინი გაიყოფენ, ვინც წაუგებლად მოირბენს ლიგის ექვსივე ეტაპს. ჯერაც დაუმარცხებელი კი, როგორც გითხარით, ოთხი დარჩა — უორნერი, ასაფა პაუელი (100მ), სანია რიჩარდსი (400 მ ქალებში) და ტირუნეშ დიბაბა (5 000 მ ასევე ქალებში).

ზღაპრულად ირბინა უორინერმა, მსოფლიო რეკორდი არ დაუმყარებია, 1996 წელს ატლანტაში მაიკლ ჯონსონის 43,18 წამი დღემდე თვალშეუდგამ მიღწევად რჩება, მაგრამ უორინერმა რომის ოლიმპიური სტადიონის მინდორს 43,62 წამში შემოურბინა და დაამყარა სეზონის საყოველთაო და პირადი რეკორდი, ამავე დროს აჩვენა მსოფლიოს ყველა დროის მე-4 შედეგი. მოკლედ, ფორმაშია ეს თეთრი ამერიკელი მორბენალი — სეზონის მანამდელი რეკორდიც მისი იყო. ზუსტად ერთი კვირის წინ ოქროს ლიგის პარიზელ მეორე ეტაპზე 43,91 წამი აჩვენა და ეს იყო ყველა დროის მეექვსე შედეგი.

„ვიცოდი, რომ სადღაც 43,6 წამის ფარგლებში ჩატევას შევძლებდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე მალე მოხდებოდა — კმაყოფილობდა ამერიკელი ნარბოლევს — თანდათან წინ მივიწევ, მაგრამ ჯონსონის 43,18-მდე კიდევ დიდი გზაა.“

რიგიანად ირბინა 100 მეტრის მეფე ასაფა პაუელმაც, რომელიც რეგულარულად აჩვენებს 9,90 წამზე ნაკლებს, თუმცა თავისივე და ასევე ჯასტინ გატლინის მსოფლიო რეკორდამდე (9,77 წამი) მაინც ბლომად დააკლდა. თუმცაღა 9,85 წამიც გვარიანი შედეგია.

49,31 წამი აჩვენა ქალთა ოთხასი მეტრის ამერიკელმა პრინცესა სანია რიჩარდსმა. 5 კილომეტრის ეთიოპელმა ბანოვანმა ტირუნეშ დაბაბამ კი ეს დისტანცია 19 წუთსა და 52,37 წამში გალია და წამზე მეტით მიასწრო მძლავრ კონკურენტს, მსოფლიო რეკორდის მფლობელ მესერეტ დეფარს.

კვლავ გადასარევად ირბინა 100 მეტრის დედოფალმა მერიონ ჯონსმა, ისევ 11 წამზე ნაკლები მოანდომა 100 მეტრს, 10,91 წამით პირადი სეზონის საუკეთესო დროც აჩვენა, მაგრამ ბედის ირონიით, ეს შედეგი გასამარჯვებლად ვერ ეყო, იამაიკელმა შერონ სიმპსონმა ფინიშთან 0,04 წამით მიასწრო.

კოტე ყორშია

ასაფა პაუელი: ყველა დანარჩენი სადღაც უკანაა

ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათ-კვირას სპორტის სასახლეში ერთდროულად ორი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ერთი ხალიჩა ბერძნულ-რომაულად მოჭიდაველებს დაეთმოთ, რომლებმაც გივი კარტოზიას თასი გაითამაშეს. მეორე ხალიჩაზე კი ვახტანგ ბალავაძის სახელობის თასისთვის მებრძოლი თავისუფლები გავიდნენ.

საერთაშორისო ტურნირების კვალობაზე, თბილისში საკმაოდ ცოტა, მხოლოდ ხუთი ქვეყნის ნაკრები ჩამოვიდა, მაგრამ ისეთი შემადგენლობებით, ბევრ წარმომადგენლობით ტურნირს რომ შეშურდებოდა. ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი სტუმრების გარემოცვაში გამოცდილმა და გამოუცდელმა მასპინძლებმა გამოცდა მშვენივრად ჩააბარეს და თოთხმეტი წონითი კატეგორიდან ათში ოქროს მედალი მოიპოვეს. ერთი ორქო კი საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ქართველმა აიღო

ლუკა კურტანიძის ოქროსფერი წითელი



ემზარის ბედინეიდისმა თასი
თავად ვახტანგ ბალავაძისგან მიიღო

55 კგ

შარშანდელი თბილისური ტურნირის ფინალში გოჩა კირკიტაძემ ბესიკ გუჩაშვილს მოუგო და ჩემპიონობასთან ერთად ნაკრების პირველნომრობაც გაინაღდა. ახლაც იგივე ჯილდოები იღო სასწორზე და კვლავ ამ ორმა მოჭიდავემ უწია ფინალს. კარგი ბრძოლაც გააჩაღეს და საქმე მესამე რაუნდამდეც მიიყვანეს. იქ კი უკვე გუჩაშვილმა იყოჩაღა. სირენამდე თხუთმეტიოდე წამით ადრე ოქროს მომტანი სამქულიანი გააკეთა. ამ ეპიზოდში კირკიტაძემ ტრავმა მიიღო და შეხვედრაც დაასრულა.

60 კგ

მედლები ქართველებმა და სომხებმა თანაბრად გადაინაწილეს. რაოდენობას ვგულისხმობთ, თორემ ხარისხით უპირატესობა სტუმრებს დარჩათ. ფინალში გიორგი ბალიაშვილი და არმენ კარაპეტიანი დაეჭიდნენ და სომეხმა საქმე ორ პერიოდში მოამთავრა, ნაკრების პირველი ნომერი მალხაზ ქურდიანი კი მესამეზე გავიდა.

66 კგ

აქაც ქართულ-სომხური ფინალი ვნახეთ და კვლავ სტუმრის გამარჯვებით. ჟირაირ ოგანესიანმა ჯერ იყო და ნახევარფინალში ჩვენი მსოფლიოს ბრინჯაოსანი ოთარ თუშიშვილი დაამარცხა, ოქროს ბრძოლაში კი კობა კაკალაძეს აჯობა. ბრინჯაოს მედლები თუშიშვილმა და რუსმა რომან სამსონიკმა მოიპოვეს.

74 კგ

საქართველოს ნაკრების ლიდერ გელა საღირაშვილის უმეძლოდ დარჩენას ბევრი ვერ იფიქრებდა. ახლახან მსოფლიოს თასის სერიის გრან პრის მომგებმა ქართველმა თბილისური ოქროს გზა ნახევარფინალში დაასრულა, მერე კი ბრინჯაოს შეხვედრაშიც დამარცხდა. პირველი მარცხი გელას საბერძნეთის სახელი მოჭიდავე ემზარის ბედინეიდისმა აწვნია. ადვილი მისახვედრია, ეს ის ემზარ ბედინეიშვილია, 2000 წლის ევროპირველობაზე საქართველოს სახელით რომ გაჩემპიონდა. გუშინაც ოქრო მოიგო. ფინალში ალეკო პატარქალიშვილს სძლია და უძვირფასეს მედალთან ერთად ვახტანგ ბალავაძის სპეციალური თასიც მიიღო. საღირაშვილს არჩილ გიგაურმა აჯობა, მეორე ბრინჯაო კი სომეხმა გარსევან ვარდანიანმა მოიპოვა.

„ბედნიერი ვარ, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თბილისში ისევ ვიჭიდავე და თან ასე კარგად — გვითხრა გაჩემპიონებულმა ბედინეიშვილმა — ეს ატმოსფერო უზომოდ მომენატრა და როგორც კი შანსი მომეცა, მაშინვე გამოვიყენე. ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნიი რომ არ მეჭიდავა, გული ძალიან დამწყდებოდა. მადლობა ყველას, ვინც კი მხარს მიჭერდა. ტრიბუნების თანადგომამ ყველაზე მეტად გამახარა.“

84 კგ

ნაკრების ლიდერი, მსოფლიოს ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი ტრავმის გამო ტურნირს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. მის არყოფნაში მედალს ყველაზე მეტად დავით ახალმოსულიშვილისგან ველოდით, მაგრამ, მოულოდნელად, ის საწყის ეტაპზე მალხაზ ჯორბენაძესთან დამარცხდა. მერე ეს უკანასკნელი არჩილ ბარამიძემ შეაჩერა, თუმც თავად ფინალს უწია, ჯორბენაძემ კი ბრინჯაოსთვის გააგრძელა ჭიდაობა და მიზანსაც მიაღწია. საერთოდ ამ წონაში ყველა მედალი საქართველოში დარჩა, მეორე ბრინჯაოს არჩილ ქიტიაშვილი დაეუფლა. ჩემპიონი კი ლერი ქეთიშვილი გახდა.

96 კგ

გიორგი გოგშელიძემ ერთხელაც დაამტკიცა, რომ წონაში აშკარად საუკეთესოა და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც გუშინდელი ჩემპიონობით ალბათ ერთ-ერთმა პირველმა გაინაღდა. ფინალში მან ახალგაზრდული ნაკრების წევრს დავით მოძმანაშვილს საკმაოდ იოლად აჯობა. მესამე ადგილებიც ქართველებმა — ლევან სეთურიძემ და ბელდუხ გავაშელიშვილმა დაიკავეს.

+120 კგ

მას შემდეგ, რაც შარშან ლუკა კურტანიძემ მძიმე წონაში გადაინაცვლა, ყველა მის და ნაკრების წევრ ლექსო მოდებაძის დაპირისპირებას ელის. აქამდე ეს ერთხელაც არ მოხერხდა. მიზეზი მოდებაძის ტრავმა იყო. თბილისურ ტურნირს კი ორივე ჯანზე შეხვდა და ფინალში ერთმანეთის პირისპირაც დადგნენ. შეხვედრა ორ რაუნდში კურტანიძის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ბევრს მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დარჩა. ორივე რაუნდის შემდეგ მონეტის აგდებამდე მივიდა საქმე და ორივე შემთხვევაში ლუკას ფერი — წითელი დაჯდა. ბრინჯაოებიც ქართველებმა — ბაჩანა კარანაძემ და გიორგი ნიკურაძემ დაინაწილეს.



ლუკა კურტანიძე
და ლექსო მოდებაძე:
მძიმე ქართული
ორთაბრძოლა

55 კგ

1 ბესიკ გუჩაშვილი (საქართველო)
2 გოჩა კირკიტაძე (საქართველო)
3 ვაგან სიმონიანი (სომხეთი)
3 გიორგი ედიშერაშვილი (საქართველო)

60 კგ

1 არმენ კარაპეტიანი (სომხეთი)
2 გიორგი ბალიაშვილი (საქართველო)
3 აიკ ეგშატიანი (სომხეთი)
3 მალხაზ ქურდიანი (საქართველო)

66 კგ

1 ჟირაირ ოგანესიანი (სომხეთი)
2 კობა კაკალაძე (საქართველო)
3 რომან სამსონიკი (რუსეთი)
3 ოთარ თუშიშვილი (საქართველო)

74კგ

1 ემზარის ბედინეიდისი (საბერძნეთი)
2 ალეკო პატარქალიშვილი (საქართველო)
3 არჩილ გიგაური (საქართველო)
3 გარსევან ვარდანიანი (სომხეთი)

84 კგ

1 ლერი ქეთიშვილი (საქართველო)
2 არჩილ ბარამიძე (საქართველო)
3 მალხაზ ჯორბენაძე (საქართველო)
3 არჩილ ქიტიაშვილი (საქართველო)

96 კგ

1 გიორგი გოგშელიძე (საქართველო)
2 დავით მოძმანაშვილი (საქართველო)
3 ლევან სეთურიძე (საქართველო)
3 ბელდუხ გავაშელიშვილი (საქართველო)

+120 კგ

1 ლუკა კურტანიძე (საქართველო)
2 ალექსი მოდებაძე (საქართველო)
3 ბაჩანა კარანაძე (საქართველო)
3 გიორგი ნიკურაძე (საქართველო)

გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

კლასიკური ოქროს დაბრუნება



ნაადრევ ფინალში ბადრი ხასაიამ ალექსანდრე დოხტურიშვილს აჯობა

55 კგ

საქართველოს ნაკრების წევრი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი ირაკლი ჭოჭუა ისე გაჩემპიონდა, გულშემატკივრები არც აუნერვიულებია. კენჭისყრამ ფინალამდე აარიდა მთავარი კონკურენტები. ნაკრების მთავარი კანდიდატი მირიან ნიშნიანიძე და სომეხი ევროპის ჩემპიონი რომან ამოიანი ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ. ჭოჭუა ფინალში გავიდა, თუმც ამათგან არც ერთს არ დასჭიდებია. ორივე მრისხანე მეტოქე ზვიად ოქრაძემ ჩამოაცილა. ნაკლებად ცნობილმა ქართველმა ნიშნიანიძეს საწყის ეტაპზე მოუგო, ხოლო ამოიანს — ნახევარფინალში. ფინალში კი ვერცხლისწყალივით მოძრავ ჭოჭუას ხეირიანი წინააღმდეგობაც ვეღარ გაუწია. კვარცხლბეკზე ერთი ჩვენებურიც ავიდა. გოდერძი დავითაძემ ამოიანთან ერთად ბრინჯაოს მედალი აიღო.

60 კგ

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატიდან მედლით დაბრუნებული ერთადერთი ბერძენ-რომაელი დავით ბედინაძე თბილისში საჩემპიონოდ რომ არ იბრძოლებდა, ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამ ჯერ კიდევ პარასკევს გვითხრა. ევროპის ვიცე-ჩემპიონს ნეკნი აწუხებს და წინასწარი გეგმით, მხოლოდ ერთი ბრძოლის ჩასატარებლად უნდა გასულიყო ხალიჩაზე. აიწონა კიდეც, მაგრამ ბოლოს ის ერთი შეხვედრაც არ უჭიდავია. შედეგად, ეს წონა აღმოჩნდა ერთადერთი, რომლის ფინალშიც ორი უცხოელი გავიდა. ჩემპიონი უზბეკი დირლშოკ არიპოვი გახდა. მსოფლიოს ჩემპონია და, ცხადია, აქაც ფავორიტად მიიჩნეოდა. გაამართლა კიდეც, მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგა. გადამწყვეტ ბრძოლაში კი სომეხ ვაგან ჯუარიანს აყარა შავი დღე. ბრინჯაო კიდევ ერთმა უზბეკმა გალმაეტო კამოლმა მოინაგრა დავით გაბაძესთან ერთად.

66 კგ

მთავარი სიურპრიზი ლაშა ლომაძის „ოქროს დაბრუნება“ იყო. ხანგრძლივი ტრავმიანობს შემდეგ ხალიჩაზე პირველად გასულმა ნაკრების კანდიდატმა უძიმესი ბრძოლები გადაიტანა და ჩემპიონობა, როგორც იტყვიან, კბილებით მოიპოვა — ფინალში ყოჩაღ სომეხს არტაკ არუთინიანს აჯობა. სომხებს ამ წონაში არუთინიანზე მეტად ევროპის ჩემპიონ კარენ მნაცაკანიანისა ეიმედებოდათ, მაგრამ ისე მოხდა, მათი ჯილა არათუ ოქროს, ბრინჯაოს გარეშეც დარჩა. ფინალის გზა მას ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ილია გულბათაშვილმა გადაუკეტა. გულბათაშვილი უმალ დარბაზის კუმირი გახდა, თუმც ნახევარფინალში ლომაძეს დაუპირისპირდა, წაგების შემდეგ რეპეშაჟის ფინალი მოიგო და კვარცხლბეკზე მაინც ავიდა მესამეადგილოსან სომეხ არმენ ადიგიანის მხარდამხარ.

74 კგ

ავადმყოფობის გამო ბოლო მომენტში ტურნირს ნაკრებსი ერთ-ერთი ლიდერი მანუჩარ კვირკველია გამოაკლდა, თუმც მისმა არყოფნამ ჩამოსულებზე მეტად ისევ მასპინძლები ახეირა. არადა, სომხებს კიდევ ერთი ევროჩემპიონი მოვსეს კარაპეტიანი ჰყავდათ ჩამოყვანილი, რომელიც ნახევარფინალამდე ლაღადაც მივიდა, მაგრამ იქ დავით კობერიძემ შეაჩერა. მოგვიანებით კობერიძემ ფინალიც ლამაზად მოუგო ნაკრების მეორე ნომერ გენადი გოგიშვილს.

84 კგ

ყველა ბადრი ხასაიასა და უზბეკთა ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრე დოხტურიშვილის დაპირისპირებას ელოდა. თავის დროზე დოხტურიშვილის საქართველოდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ხომ სწორედ ხასაიასთან კონკურენცია იყო. კენჭისყრამ ორივე ბადის ერთ მხარეს მოახვედრა და ცხადი გახდა, რომ ფინალამდე ეჯახებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ იქამდეც გვარიანი ბრძოლების გადატანა უწევდათ. ხასაიას გულშემატკივრები პროგნოზების გაკეთებისგან თავის შეკავებას არჩევდნენ. ბადრისთვის კარტოზიას თასი პირველი ტურნირი იყოლამის ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ. დოხუტრიშვილს კი ნახევარფინალამდე უზბეკეთის სახელით მოჭიდავე კიდევ ერთ ქართველ ხვიჩა ბიჩინაშვილთან მოუხდა დაჭიდება. ნანატრი ბრძოლა მაინც შედგა. ორი ძლიერი ქართველის გზა ნახევარფინალში გადაიკვეთა და საოცრად დაძაბულ სამ რაუნდში ბადრი ხასაიას გამარჯვებით დასრულდა. მოგვიანებით იგი ჩემპიონიც გახდა და სპეციალური პრიზი — გივი კარტოზიას თასიც მოიპოვა.

96 კგ

კიდევ ერთი დაბრუნება — ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი რამაზ ნოზაძე ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ ხალიჩაზე გავიდა და პირველივე ცდაზე ჩემპიონი გახდა. რამაზმა ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ იჭიდავა, არც ერთში არ გასჭირვებია, ფინალში კი ზურაბ წიქორაძეს აჯობა. აღსანიშნავია, რომ კვარცხლბეკზე სულ მასპინძლები ავიდნენ. საიდნეის ოლიმპიური ნაკრების წევრმა გენადი ჩხაიძემაც საქართველოს სახელით იჭიდავა და არა უზბეკეთის, როგორც წინასწარ გავრცელდა ხმები.

+120 კგ

ნაკრების ორი უმთავრესი კანდიდატი მირიან გიორგაძე და რევაზ ჭელიძე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ. ახალგაზრდა ჭელიძემ თავისზე გმოცდილი და ფიზიკურადაც დიდი მეტოქე ორჯერ ისე აიტაცა ჰაერში, ტრიბუნებს ოვაციები მოსწყვიტა. პირველი გდება ხუთი ქულით შეფასდა, მეორე — სამით და ფინალში ჭელიძე გავიდა. ოქროსთვის ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, სომეხთა გოლიათ იური პატრიკეევს უნდა დასიდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში ტრავმა მიიღო და საჩემპიონო ბრძოლაზე ვეღარ გამოცხადდა.

ოთარ მაღლაკელიძე
ბადრი კეთილაძის ფოტოები



ლაშა ლომაძემ მართლა ჩემპიონურად იჭიდავა



თავისი წილი ოქრო რამაზ ნოზაძემაც მოიგო

55 კგ

1 ირაკლი ჭოჭუა (საქართველო)
2 ზვიად ოქრაძე (საქართველო)
3 გოდერძი დავითაძე (საქართველო)
3 რომან ამოიანი (სომხეთი)

60 კგ

1 დირლშოკ არიპოვი (უზბეკეთი)
2 ვაგან ჯუარიანი (სომხეთი)
3 გალმაეტო კამოლი (უზბეკეთი)
3 დავით გაბაძე (საქართველო)

66 კგ

1 ლაშა ლომაძე (საქართველო)
2 არტაკ არუთინიანი (სომხეთი)
3 ილია გულბათაშვილი (საქართველო)
3 არმენ ადიგიანი (სომხეთი)

74კგ

1 დავით კობერიძე (საქართველო)
2 გენადი გოგიშვილი (საქართველო)
3 შმაგი სალთხუციშვილი (საქართველო)
3 მოვსეს კარაპეტიანი (სომხეთი)

84 კგ

1 ბადრი ხასაია (საქართველო)
2 არმენ გეგამიანი (სომხეთი)
3 შალვა გადაბაძე (საქართველო)
3 ალექსანდრე დოხტურიშვილი (უზბეკეთი)

96 კგ

1 რამაზ ნოზაძე(საქართველო)
2 ზურაბ ნიქორიძე (საქართველო)
3 გივი მორჩილაძე (საქართველო)
3 გენადი ჩხაიძე (საქართველო)

+120 კგ

1 რევაზ ჭელიძე (საქართველო)
2 იური პატრიკიევი (სომხეთი)
3 დიმიტრი ჯავახიშვილი (საქართველო)
3 მირიან გიორგაძე (საქართველო)





AFP მანი ჯურიდან

მიხაელ შუმახერმა და ფელიპე მასამ ერთად დაიწყეს და თითქმის ერთადვე დაამთავრეს

შუმახერის 8, 68 და 88

ორი კვირის წინ აშშ-ის „გრან პრიზე“ ფერნანდო ალონსოს მეხუთეადგილიანი ჩაფლავების მთავარ მიზეზად „მიშლენის“ საბურავები დაასახელეს.

გუშინდელ, ფრანგულ ეტაპამდე ჩატარებული ტესტების შემდეგ ჩემპიონს განწყობა გამოუკეთდა: „ახლა ყველაფერი რიგზეა. მანი კური „რენო“-„მიშლენის“ მშობლიური ტრეკია და წარმატების დიდი იმედიც მაქვს. მით უმეტეს, რომ მანქანაში ახალი, უფრო ჯანიანი ძრავა ჩამიდგეს.“

მანი კურის ასფალტი, სხვა ტრასებისგან განსხვავებით, ლამის აბსოლუტურად შავია და ამდენად, მზეზე უცბად და ძალიან ცხელდება, თანაც ნაადრევად „ჭამს“ რეზინს.

ამგვარ პირობებში კი, როგორც ვარაუდობდნენ, სამასკილომეტრიან დისტანციაზე მიშლენიან ბოლიდებს უნდა ჰქონდათ უპირატესობა.

კვალიფიკაცია ოდნავ შეცვლილი ფორმატით ჩატარდა. ბევრიც არაფერი — მესამე, ოცწუთიან ნაწილს, რაკი მაყურებლისთვის მოსაწყენიაო, ხუთი წუთი ჩამოაკლეს.

პირველი „რაუნდი“ იარნო ტრულიმ მოიგო, მეორეში კარგა ხანს მისი თანატოიოტელი რალფ შუმახერი იყო წინ, მაგრამ ბოლო გასვლაზე საუკეთესო დრო უფროსმა შუმიმ აჩვენა.

დასკვნითი, დამოკლებული სერია თავიდანვე მეტად თვალსასაჩინო გამოვიდა მიხაელ-ფერნანდოს მწვავე დუელის გამო. საპოულე ბრძოლას შემორჩენილი ათივე პილოტი დაწყებამდე რიგში ჩადგა შუქნიშნის წინ. ალონსომ არ ისურვა მდევრის როლში ყოფნა და შუმახერს გვერდში ამოუდგა.

ტრასის გახსნისთანავე ორივენი ისე დაფეთებული გაცვივდნენ, რომ კინაღამ ერთმანეთს შეეჯახნენ. პრაქტიკულად რბოლის სტარტის იმიტაცია გამოვიდა. ნანდო ოდნავ წინ კი აღმოჩნდა, მაგრამ რამდენიმე წამში, ტრეკის ყველაზე რთულ, სარჭისებურ მოსახვევ „ადელაიდაში“ მიხაელმა შიდა მხრიდან შეასწრო და პირველი გაქანდა ჩასათვლელ წრეზე.

შუმიმ ნახევარი წამით უკეთესი დრო დაიფიქსირა. ალონსომ მომდევნო ცდებზე კი გააუმჯობესა თავისი შედეგი, მაგრამ „წითელი ბარონის“ ჯობნა ვერ შეძლო. ის კი არა, ბოლო წამებზე მას მასამაც გაასწრო და სტარტზე მიხაელის გვერდით მოკალათდა. ეს ფერარელთა ზედიზედ მეორე ამგვარი წარმატებაა.

ესპანელი ჩემპიონი მესამე პოზიციითაც კმაყოფილი ჩანდა: „ვიცოდი, რომ კვალიფიკაციაში „ფერარი“ ჩვენზე ძლიერი იქნებოდა. თუმც დარწმუნებული ვარ, რომ რბოლის გრძელ, 300-კილომეტრიან დისტანციაზე „მიშლენის“ ახალი საბურავების წყალობით, გამარჯვების შანსი მაქვს.“

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ შუმახერისგან განსხვავებული საბოქსე ტაქტიკის მიუხედავად, ალონსოს გუშინ მოგების არანაირი შანსი არ გასჩენია. მან დაძვრისთანავე კი სცადა მასასთვის გვერდის ავლა, მაგრამ ბრაზილიელმა ოსტატურად დაიცვა მეორე პოზიცია და წინ გავარდნილ მიხაელს მიჰყვა. ფერნანდომ ერთი-ორჯერ კიდევ შეუტია თუმცა ისევ უშედეგოდ.

სტარტიც და მთელი საათნახევრიანი რბოლაც მშვიდი, უკონფლიქტო იყო. შუმი სულ უფრო შორდებოდა მდევრებს და ჩემპიონატის ლიდერი მე-15 წრეზე უკვე 14 წამით ჩამოიტოვა. დაწინაურებულ შვიდეულში — მიხაელი, მასა, ალონსო, ტრული, რალფი, რაიკონენი, ფიზიკელა — თითქმის ნახევარ დისტანციაზე გადაადგილება არ მომხდარა. ერთადერთი გასწრება ვიხილეთ 28-ე წრეზე, როცა რამდენიმე მოსახვევიან ბორბალ-ბორბალ ჭიდილში რაიკონენმა ტრულის აჯობა.

მიხაელმა ბოქსებს მეორედ 38-ე წრეზე მიაკითხა, როცა ფერნანდოს 16 წამს უგებდა, ესპანელმა იგივე მანიპულაცია ხუთი წრის შემდეგ შეასრულა. მისი 9,6-წამიანი პიტსტოპი იმას ნიშნავდა, რომ ფინიშამდე აღარ ჩიმატებდა საწვავს, შუმის კი მესამე შეჩერება ელოდა.

. ამიტომაც, დროის სასურველი მარაგის დასაგროვებლად, „წითელმა ბარონმა“ სისწრაფეს უმატა, რბოლის ბოლომდე 15 წრით ადრე სხვაობა 34 წამამდე გაზარდა და გულარხეინად მიაკითხა საბოქსეთს. იქიდან ნანდოზე 18-წამიანი უპირატესობით დაბრუნდა და გამარჯვებულიც გაირკვა — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი და საფრანგეთში სარეკორდო, შვიდჯერ მომგები უპრობლემოდ მიგორდა მორიგ დიდ პრიზამდე.

ალონსო ნაკლებმა პიტსტოპმა იმითღა ახეირა, რომ მასას ჩამოტოვება შეძლო.

ეს მიხაელ შუმახერის ზედიზედ მეორე ჰეთ თრიქია (პოული, უსწრაფესი წრე, მოგება), 15-წლიან კარიერაში 150-ე პოდიუმი, 68-ედ მოგებული კვალიფიკაცია და 88-ე დიდი პრიზი.

საერთოდ კი, ეს გერმანელი პილოტების მიერ მოგებული საიუბილეო, მე-100 რბოლაა.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

საფრანგეთის დიდი პრიზი
16 ივლისი. მანი კური
დისტანცია 70 წრე — 308,586 კმ

1.	(1)	**მ.შუმახერი** (ფერარი)	1:32.07,8 (201,0 კმ/სთ)
2.	(3)	**ალონსო** (რენო)	ჩამორჩა 10,1
3.	(2)	**მასა** (ფერარი)	22,5
4.	(5)	**რ.შუმახერი** (ტოიოტა)	27,2
5.	(6)	**რაიკონენი** (მაკლარენი)	33,0
6.	(7)	**ფიზიკელა** (რენო)	45,3
7.	(8)	**დე ლა როსა** (მაკლარენი)	49,4
8.	(11)	**ჰაიდფელდი** (BMW-ზაუბერი)	1 წრით
9.	(9)	**კულპარდი** (რედ ბული)	1 წრით
10.	(14)	**სპიდი** (ტორო როსო)	1 წრით
11.	(16)	**ვილნევი** (BMW-ზაუბერი)	1 წრით
12.	(12)	**კლიენი** (რედ ბული)	1 წრით
13.	(22)	**ლიუციი** (ტორო როსო)	1 წრით
14.	(19)	**როსბერგი** (უილიამსი)	2 წრით
15.	(15)	**ალბერსი** (MF 1)	2 წრით
16.	(20)	**მონტანი** (სუპერ აგური)	3 წრით
		რბოლას გამოეთიშნენ	
	(17)	**ბატონი** (ჰონდა)	გაიარა 63 წრე
	(10)	**ვებერი** (უილიამსი)	55
	(4)	**ტრული** (ტოიოტა)	41
	(13)	**ბარიკელო** (ჰონდა)	19
	(18)	**მონტეიერო** (MF 1)	12
	(21)	**სატო** (სუპერ აგური)	1

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
მ. შუმახერი — 1.15,493 (210,3 კმ/სთ)

უსწრაფესი წრე
მ. შუმახერი — 1.17,111 (205,9 კმ/სთ)

	ბაჰრეინი 12 მარტი	მალაიზია 19 მარტი	ბრაზილია 2 აპრილი	სან მარინო 23 აპრილი	ესპანეთი 7 მაისი	მონაკო 14 მაისი	ევროპა 28 მაისი	ფ.ბრიტანეთი 11 ივნისი	კანადა 25 ივნისი	აშშ 2 ივლისი	საფრანგეთი 16 ივლისი	ბრიტანეთი 30 ივლისი	შვეიცარია 6 აგვისტო	უნგრეთი 27 აგვისტო	იტალია 10 სექტემბერი	ჩინეთი 1 ოქტომბერი	იაპონია 8 ოქტომბერი	ბრაზილია 22 ოქტომბერი	ჯამი
1 **ალონსო** რენო, ესპანეთი	10	8	10	8	8	10	10	10	10	4	8								96
2 **მ. შუმახერი** ფერარი, გერმანია	■ 8	3	–	■ 10	10	8	4	8	8	■ 10	■ 10								79
3 **ფიზიკელა** რენო, იტალია	–	■ 10	4	1	3	6	3	5	5	6	3								46
4 **რაიკონენი** მაკლარენი, ფინეთი	6	–	8	4	5	4	–	6	6	–	4								43
5 **მასა** ფერარი, ბრაზილია	–	4	–	5	6	5	–	4	4	8	6								42
6 **მონტოია** მაკლარენი, კოლუმბია	4	5	–	6	–	–	8	3	–	–	–								26
7 **ბატონი** ჰონდა, დ. ბრიტანეთი	5	6	■ –	2	–	3	–	–	–	–	–								16
8 **ბარიკელო** ჰონდა, ბრაზილია	–	–	2	–	4	2	5	–	–	3	–								16
9 **რ. შუმახერი** ტოიოტა, გერმანია	–	1	6	–	–	–	1	–	–	–	5								13
10 **ჰაიდფელდი** BMW ზაუბერი, გერმანია	–	–	5	–	–	1	2	2	2	–	1								13

კულპარდი — 10, ტრული — 8, ვილნევი — 7, ვებერი — 6, როსბერგი — 4, დე ლა როსა — 2, კლიენი, ლიუციი — 1 ქულა

■ **პოულ-პოზიცია**

კონსტრუქტორთა თასი: *რენო 142, ფერარი 121, მაკლარენი 71, ჰონდა 32, ტოიოტა 21, BMW ზაუბერი 20, რედ ბული 11, უილიამსი 10, ტორო როსო 1*

ჰოლანდია თურმე ლანდია

15 ივლისი

საქართველო 89:80 ისლანდია

28:24 17:16 15:22 29:18

საქართველო: გამყრელიძე (6 ქულა, 7 პასი), ცინცაძე (26), დიდია (11), სანიკიძე (22), ათანელიშვილი; ლეჟავა (10), საყვარელიძე (6), ჩხატარაშვილი (6), ბერიშვილი (3), გვიმრაძე (2), ჭოჭუა, გაფრინდაშვილი

16 ივლისი

საქართველო 106:64 ჰოლანდია

26:19 29:18 25:10 26:17

საქართველო: გამყრელიძე (6 ქულა, 6 პასი), ცინცაძე (21), საყვარელიძე (10), სანიკიძე (24 ქულა, 17 მოხსნა), ათანელიშვილი; ლეჟავა (20), გვიმრაძე (11), ჭოჭუა (7), დიდია (5), ჩხატარაშვილი (2), გაფრინდაშვილი

ბურთს დოლიძეებისგვილის ფოტო

გიორგი ცინცაძე

მარცხით დაწყებულ ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე ქართველებმა გუშინ და გუშინწინ მიჯრით იმარჯვეს, რითაც ჯგუფიდან გასავლელი საგზური დაიბევს. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფინეთთან სადებიუტო მარცხის შემდეგ ძალები მოიკრიბა და შაბათს ძლეულ ისლანდიას წუხელ ჰოლანდიაც მიაყოლა.

ჰოლანდიასთან მატჩის წინ ქართველებს დიახაც ჰქონდათ სანერვიულო, რადგან ჩვენიანთაგან გაჭირვებით ძლეული ისლანდიელები „ნარინჯისფრებმა" პირველ ტურში მიწასთან გაასწორეს. რაც შეეხებათ ქართველების მძლეველ ფინელებს, მათთან ჰოლანდიელები შაბათს ბოლო წამებზე, დრამატულ ენდშპილში დამარცხდნენ.

ერთი სიტყვით, წარმატებას სასწორი წინასაამატჩოდ თითქოს ჰოლანდიელებისკენ იხრებოდა, მაგრამ ქართველებმა ყოველგვარი პროგნოზები თავდაყირა დააყენეს და მეტოქე ერთი ხელის გაქნევით, 106:64 განგმირეს.

ჩვენიანთაგან თავი განსაკუთრებით ვიქტორ სანიკიძემ გამოიჩინა, რომელმაც 24 ქულასთან ერთად 17 მოხსნა გაახერხა. საერთოდ კი, ქართველების გამარჯვებას სამი მესაძირკვლე ჰყავს — სანიკიძესთან ერთად თავი გიორგი ცინცაძემ და ბესიკ ლეჟავამ გამოიჩინეს. სამვე მათგანმა უწია 20-ქულიან ზღვარს, ხოლო ლაშა გამყრელიძე ისევ პასების ჩამორიგებით იყო დაკავებული და ამჯერად 6 მოუგროვდა. ის ამ კომპონენტში კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას B დივიზიონში მონაწილე კალათბურთელთა შორის.

ჰოლანდიელებთან ასე იოლად გამარჯვების შემდეგ ჩინებულ ხასიათზე იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი დავით უსტიაშვილი:

— დღეს მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. ყველამ პირნათლად შეასრულა დაკისრებული ამოცანა, ჩვენები ერთნაირი წარმატებით ირჯებოდნენ როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში.

— ჰოლანდიელებს ძალიან მაღალი მოთამაშეები ჰყავდათ. მოგეხსენებათ, სიმაღლე ჩვენი ნაკრების აქილევსის ქუსლია, მაგრამ დღეს ბიჭებმა ისე მოინდომეს, რომ მეტოქეს ფარიც მოვუგეთ და სხვა დანარჩენ სათამაშო კომპონენტებშიც დავჯაბნეთ.

— ეს ის ჰოლანდიაა, წინა ტურში ფინეთმა ბოლო წუთებზე ჩაგდებული 4 სამქულიანის წყალობით რომ მოუგო. ფინეთმა კი ჩვენც დაგვამარცხა და თუ ასე იოლად ვაჯობებდით ჰოლანდიელებს, ნამდვილად არ გვეგონა.

— პირველი ეტაპი დაძლეულია და ხომ გაგიგონიათ, მადა ჭამაში მოდისო, ჰოდა, ჩვენი მიზანია, მეორე ჯგუფიდანაც გავიდეთ. ჯერ არ ვიცი, რომელ მეტოქეებს გვარგუნებს იღბალი, თუმც მაკედონია ალბათ არ აგვცდება.

— აქ თითქმის ყველა გუნდს ორი თუ არა, ერთი მოსამზადებელი ტურნირი მაინც აქვს ნათამაშები, ჩვენ კი ამის გამოცდილება არ გვაქვს და მატჩიდან მატჩამდე გვიხდება შეთამაშება. რაც ყველაზე სასიამოვნოა, ეს ჩვენს ნაკრებს ჩინებულად გამოსდის. ვიქტორ სანიკიძე, რომელსაც მრავალთვიანი უქმობის შემდეგ ლამის პირდაპირ ოფიციალურ მატჩებში მოუწია თამაში, ფორმაში სწრაფად შედის. ასევე არიან გიორგი ცინცაძეც და მეტ-ნაკლებად გუნდის სხვა წევრებიც. ჯერ ნაადრევია საბოლოო წარმატებაზე ლაპარაკი, მაგრამ თუ ასე გავაგრძელეთ, ვფიქრობ, საუკეთესო 2 გუნდში მოხვედრა და A დივიზიონში ანაცვლებაც არაა მიუღწეველი...

ახლა ჩვენი ნაკრების მომავალ მეტოქეებზეც ვთქვათ. C და A ჯგუფებში გამარჯვებულები B და D ჯგუფების მეორეადგილოსნებს შეუერთდებიან და ახალი ოთხეულიც შეიქმნება. ქართველებმა B ჯგუფში მეორე ადგილი გაინალდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეტოქე იქნება D ჯგუფში ამავე ადგილის დამკავებელი უკრაინა.

ირაკლი პერტაია

ბურთს ფოტიანი ფოტო

დავით უსტიაშვილის გუნდი მეორე ჯგუფურ ეპატზე გავიდა

93-ე ტურ დე ფრანსი
2006, 1-23 ივლისი

AFP მონტელიმარიდან

კაცი არსაიდან
პერეირომ ველომასა სახტად დატოვა

არც მთები, არც ხევები, მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 392 მეტრი, მოკლედ, არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ ამ მე-13 ეტაპმა ისე აურია მთელი ტურ დე ფრანსი, რომ უკვე აღარავინ იცის, სრულიად უცხო ხალხის ასეთი გამოხტომის შემდეგ ვინ გახდება ჩემპიონი.

ფრანგული რაგბის მექა ბეზიედან მონტელიმარამდე გაწოლილი 230-მეტრიანი ეტაპი ყველამ იმ განწყობით დაიწყო, რომ დიდი რღვევა ამ ვაკეზე არც შეიძლებოდა მომხდარიყო და პელოტონიც უმტკივნეულოდ და უწყვეტად მიგორდებოდა ფინიშამდე. 30 კილომეტრს დუნედ გავლის შემდეგ კი მოულოდნელად ხუთი მრბოლი მოსწყდა ჯგროს და წინ გავარდა. ვინაიდან მათ შორის ჩემპიონობის არც ერთი რეალური პრეტენდენტი არ ერია, პელოტონმა უაზროდ გააყოლა თვალი, ალბათ იფიქრა, ესენი მალე დაიღლებიან და დავეწევითო. მაგრამ „მახარობლები" არც კი ფიქრობდნენ ტემპის დაგდებას, ერთმანეთს ბეჯითად ენაცვლებოდნენ და ყოველ 2-3 კილომეტრზე ლამის წუთს უგებდნენ დაარხეინებულ ველომასას. ბოლოს ეს ხუთი წინ გაქცეულიც გაიხლიჩა და საფინიშო სპრინტი ესპანელ ოსკარ პერეიროსა და გერმანელ იენს ფოიტს შორის გაჩაღდა. ამ ორი არცთუ სახელიანი მრბოლის დავა შედარებით ცნობილმა ფოიტმა მოიგო, მაგრამ რბოლამ გაცილებით მეტი ხეირი მოუტანა პერეიროს. ესპანელმა ეტაპი რომ დაიწყო, საერთო ჩათვლაში მხოლოდ 46-ე ადგილზე იყო ჩაკარგული, ამ არანორმალური გაქცევის წყალობით კი მან ყველა ლიდერს ლამის 30 წუთი მოუგო და საერთო ჩათვლაშიც ყველა ჩამოიტოვა — წუთნახევრით გაექცა ტურ დე ფრანსის მანამდელ ლიდერ ფლოიდ ლენდისს და თუ წინ აღობილი ალპებიც ყოჩაღად გადალახა, ვინ იცის ლიდერის ყვითელი მაისურა პარიზამდეც შეინარჩუნოს.

ეს ყველაფერი შაბათს მოხდა, კვირის რბოლას კი არაფერი შეუცვლია. ყველა ლიდერმა ერთდროულად გადაკვეთა ფინიში და პერეირომაც ყოველგვარი ჭმუნვის გარეშე შეინარჩუნა ლიდერობა. ორშაბათი ტურ დე ფრანსზე დასვენების დღედაა გამოცხადებული, ასე რომ, მსოფლიოს უპრესტიჟულესი ვალოტურის მოულოდნელ ყორს საკმაო დრო აქვს, არაადამიანური რბოლის შემდეგ ფეხები დაასვენოს და თავი უფრო მძიმე გამოცდებისთვის განაწყოს. ბოლოს და ბოლოს, ალპებში გამოჩნდება, იმსახურებს თუ არა იმ საჩუქარს, რომელიც ლანგედოკის ვაკეზე საკუთარ თავს გაუკეთა.

კოტე ყორშია

15 ივლისი. მე-13 ეტაპი. ბეზიე — მონტელიმარი. 231 კმ

1 იენს ვოიტი (გერმანია, CSC)	5სთ 24წთ 36წმ
2 ოსკარ პერეირო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	იგივე დრო
3 სილვიან შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი)	+40წმ
4 მანუელ ქუინზიატო (იტალია, ლიკვიგასი)	იგივე დრო
5 ანდრეი გრივკო (უკრაინა, მირლამი)	+6წთ 24წმ
6 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)	+29წთ 57წმ

16 ივლისი. მე-14 ეტაპი. მონტელიმარი — გაპი. 181 კმ

1 პიერიკ ფედრიგო (საფრანგეთი, ბუიგუ ტელეკომი)	4სთ 14წთ 23წმ
2 სალვატორე კომეზო (იტალია, ლამპრე)	იგივე დრო
3 კრისტიან ვანდეველდე (აშშ, CSC)	+3წმ
26 ოსკარ პერეირო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+7წმ
30 ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ოსკარ პერეირო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	64სთ 5წთ 4წმ
2 ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+1წთ 29წმ
3 სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	+1წთ 37წმ
4 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	+2წთ 30წმ
5 კადელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო)	+2წთ 46წმ

ჟვანიას უქმეები

პლოვდივში გრძელდება მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი. ამ უქმეებზე რინგზე ოთხი ქართველი ავიდა და სამმა პირველსავე წრეში დაასრულა მედალზე ფიქრი. ყველაზე მსუბუქმა, 48-კილოგრამიანმა ზვიად ხადურმა ფრანგ ამინ ლამირთან 28-48 წააგო, ხოლო დავით წიკლაური (81კგ) და იუზა გულირდავა (+91კგ) უკრაინელ ისმაილ სილაკთან და თურქ კურბან გუნებაკანთან აშკარა უპირატესობით დამარცხდნენ.

ფინელი ანრი კორჰონენის იოლად ძლევით დაიწყო ჩემპიონატი კახა ჟვანიამ (69 კგ). ამ წონაში პირველი შეხვედრები გუშინწინ ჩატარდა. გუშინ კი ჟვანიას უკვე მეორედ მოუხდა ხელთათმანის მორგება და ფინელის გზას მოლდოველი ვიტალი გრუშაკი გაუყენა.

ფედერაციის თასი. ნახევარფინალი



AFP ოსტენდედან

კიმ კლაისტერსი

ხარისხი და ხარახურა

ბელგია 3:0 აშშ
ესპანეთი 1:3 იტალია

ხარისხი რომ რაოდენობას ჯობს, ამ უქმეებზე კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახვეს იტალიელმა ჩოგბურთელებმა ფედერაციის თასის ნახევარფინალში.

აპენინელებს ჰყავთ ორი გამოკვეთილი ლიდერი — ფრანჩესკა სკიავონე და ფლავია პენეტა. მათ შორის მაღალ დონეზე მხოლოდ პირველი თამაშობს, პენეტაც კარგი ჩოგბურთელი გახლავთ, მაგრამ ძალიან არასტაბილურია. იტალიელთა მეტოქე ესპანელებს კი სკიავონეს დარი ჩოგბურთელი არ მოეძებნებათ.

როგორც შაბათ-კვირას გამოჩნდა, თურმე ოთხ ნორმალურ ჩოგბურთელს ორი კარგი ჩოგნის მქნელი სჯობს — სკიავონემ და პენეტამ ფინალში გაიყვანეს იტალია და ახლა ფედერაციის თასის მოგებაზეც არ იტყვიან უარს.

ესპანელთა კაპიტან მიგელ მარგეტსს მშობლიური კედლების დიდი იმედი კი ჰქონდა, მაგრამ სარაგოსას თაკარა მზესა და გამომშრალ გრუნტს იტალიელებმა უფრო სწრაფად აუღეს ალღო.

მეორე ნახევარფინალში კი მოულოდნელი არაფერი მომხდარა — ბელგია აშკარად ფავორიტობდა და სტატუსის შესაბამისადაც მოიგო. საქმე პირველ სამ თამაშშივე მოაგვარა, დანარჩენი კი ფორმალობაღა იყო.

ბენილუქსელებს მხოლოდ ჟუსტინ ენენ-არდენის ფაქტობრივად ბოლო წამის ნათქვამი უარი თუ აშინებდათ — ასეთი ჩოგბურთელის შეცვლა იოლი ვერავისთვის იქნებოდა.

თუმც ენენის მაგივრად კორტზე გასულმა კრისტენ ფლიპკენსმა მოვალეობა (ერთეულთა თანრიგში თუნდაც ერთი მატჩის მოგება) შაბათსვე შეასრულა და სამ სეტში, მაგრამ მაინც მოუგო ჯილ კრეიბასს.

დანარჩენი უკვე კიმ კლაისტერსზე იყო დამოკიდებული. ჰოდა, თუ ჯანმრთელობა ხელს უწყობს, როდის ყოფილა, კიმს თანამემამულეები გაეწბილებინოს. ფლიპკენსის მოგებას კლაისტერსმა ორიც დაუმატა და ბელგია ფინალში სულ ფრენა-ფრენით გავიდა.

ესპანური აიდოლაზი
ერთი შეენ, ერთიც სტეფანს

კაცები
ნიუპორტი. აშშ. ბალახი.
საპრიზო 355 000 $

ნახევარფინალი
ჯასტინ გიმელსტობი (8, აშშ) — ენდი მიურეი (1, ბრიტანეთი) 6:1 7:6; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:7 6:2, 6:0

კაცები
გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი
საპრიზო 421 250 €

ნახევარფინალი
რიშარ გასკე (7, საფრანგეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 6:1 ‡6 6:2; **ფელიციანო ლოპესი** (6, ესპანეთი) — მარიან ჩილიჩი (ხორვატია) 7:6 6:7 6:3

ფინალი
რიშარ გასკე (7, საფრანგეთი) — ფელიციანო ლოპესი (6, ესპანეთი) 7:6, 6:7, 6:3, 6:3

კაცები
ბასტადი. შვედეთი. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

ნახევარფინალი
ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) 6:3 6:3
ტომი რობრედო (2, ესპანეთი) — **იარკო ნიემინენი** (4, ფინეთი) 3:6 6:2 6:4

ფინალი
ტომი რობრედო (2, ესპანეთი) — **ნიკოლაი დავიდენკო** (1, რუსეთი) 6:2 6:1

AFP გშტაადიდან

ფრანგმა რიშარ გასკემ ესპანელებს ერთი ფინალი აართვა

1:1 — ფრით დამთავრდა ესპანეთისთვის კვირას ევროპაში გამართული ტურნირების ფინალები. პირენეელებმა გშტაადშიც და ბასტადშიც მოახერხეს გადამწყვეტ თამაშამდე მისვლა, მაგრამ მხოლოდ ერთგან იხარეს.

ჩვენც აქედან დავიწყოთ. ტომი რობრედო ტურნირის მთავარ ფავორიტ ნიკოლაი დავიდენკოს კი ხვდებოდა, მაგრამ ფინალში რუსს შავი დღე აყარა, მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო და სულ რაღაც 75 წუთში მოუთავა ხელ-საქმე.

რობრედო აშკარად კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს. წლეულს აგერ უკვე მესამე ფინალი ითამაშა — მანამდე ბარსელონაში წააგო (რაფაელ ნადალთან), მაგრამ შემდეგ ჰამბურგის მასტერსი მოიგო.

გუშინ კი ესპანელმა მეორე ტიტული მოიპოვა და დავიდენკოსთან პირადი შეხვედრების ანგარიშიც გაათანაბრა.

სამაგიეროდ მოულოდნელად წააგო თიხნარზე ეისებით გამორჩეულმა ფელიციანო ლოპესმა. ესპანელმა გუშინაც 23 „ყუმბარა“ ჩააგდო რიშარ გასკეს ნახევარზე, მაგრამ ამან პირენეელს მაინც ვერ უშველა და ბოლო დროს მშვენივრად ათამაშებულ ფრანგს ვერაფერი დააკლო.

გასკემ კი გამოასწორა სეზონური სტატისტიკა და წლის საშინლად დაწყების შემდეგ ბოლო კვირებია, ძალიან გამართულ თამაშს აჩვენებს. შედეგიც სახეზეა — სამიოდე კვირის წინ ნოტინგემში ტიტული დაიცვა, რასაც გუშინ გშტაადის ტრიუმფიც დაუმატა. მართალია, ამ ტურნირებს შორის უიმბლდონის პირველივე წრიდან გამოვარდა, მაგრამ ეპატიება — როჯერ ფედერერთან, თანაც ბალახზე წაგება არავისთვისაა საძრახი.

„ვფიქრობ, დღეს მთავარი მოთმინება იყო, მეტოქისგან განსხვავებით, არ ვჩქარობდი და ნაკლები შეცდომებიც დავუშვი“ — ლაკონური იყო გასკე ნამატჩევს.

ამერიკულ ნიუპორტში კი გამარჯვებულს გვიან ღამით გაარკვევენ, სადაც ერთმანეთს ავსტრალიელი ვეტერანი მარკ ფილიპუსისი და მასპინძელი ჯასტინ გიმელსტობი დაეტაკებიან.

ძახა ლომაშვილი

სამი ერი 2006

ქურციკის მწვადი ავსტრალიურად

14 ივლისი. ბრისბეინი

ავსტრალია 49:0 ს. აფრიკა

ავსტრალია: ლეითემი, ჯერარდი, მორტლოკი, ჟიტუ ტუკირი; ლარქემი, გრეგანი (კაპ); ფავა, სმიტი, ელსომი, დიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, ჰოლი, ჰოლმსი

სათადარიგოები: ჰარდმანი, ბაქსტერი, ჩიშოლმი, ვუ, კორდინგლი, როჯერსი, რეთბოუნი

6 ლელო: ჰოლი, ჰოლმსი, ჟიტუ (2), ლეითემი, ჩიშოლმი; 5 გარდასახვა: მორტლოკი; 2 საჯარიმო: მორტლოკი; 1 არეკნი: ლარქემი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, ნდუნგანე, ფური, ოლივიე, ჰაბანა. ფან დერ ჰესტჰუიზენი, ჯენუარი; სპაისი, ი. სმიტი, ფან ნიკერკი, როსუ, მეტფილდი, ფან დერ ლინდე, ჯ. სმიტი (კაპ), დუ რანდტი

სათადარიგოები: ჯუნი, ენდრიუსი, ფან დერ ბერგი, კრონხე, დუ პრეეცი, ბოსმანი, ჰოლსი

14 ივლისის კრული ბრისბეინული საღამო დიდხანს არ დაავიწყდებათ სამხრეთაფრიკელებს. 0:49 წაგების თავიდან ამოგდება, ცოტა, ძნელია. აფრიკელები სწორედ ამ ანგარიშით დამარცხდნენ ავსტრალიელებთან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განადგურდნენ. სამი ერის ორი მეტ-ნაკლებად ტოლძალოვანი მეტოქის ამ ჯახს მაინც არ დაერქმევა სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა. ეს უფრო რაგბის ხელოსანთა გუნდის ხელოვანთა გუნდთან შერცხვენა იყო.

აფრიკელებს რამდენჯერაც ბურთი დაუვარდათ ხელიდან, ავსტრალიელთაგან იმდენი ლელო ან საჯარიმო მაინც მიიღეს, თავად კი ისე უნიათოდ უტევდნენ და ისე უჯიგროდ იცავდნენ თავს, რომ ერთი ხეირიანს შეტევა ვერ გაშალეს და ასე, 0 ქულას გამორჩნენ „ვოლაბებს“.

არადა, აფრიკელები სრული საბრძოლო გუნდით ჩავიდნენ კონტინენტ-ქვეყანაში, მაგრამ მათ ცოდვილობას არც თამაში ერქვა და მით უმეტეს, არც ბრძლა. ბოლო 100 წლის განმავლობაში „ქურციკებმა“ მხოლოდ ერთხელ „მოახერხეს“ მეტი სხვაობის წაგება — 2002 წელს მომავალ მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისელებთან 50-ქულიანი (3:53) მარცხი ჭამეს.

ავსტრალიელთა თამაში კი პირქით იდეალურთან იყო მიახლოვებული. მათი ნახევარდაცვა (გრეგანი, ლარქემი) ბავშვებივით აცუცურაკებდა ოპონენტებს და სრულიად სამხრეთაფრიკულ უკანა ხაზს. მათი და გადასარევად მომუშავე მორკინალების წყალობით, ავსტრალიელებმა 6 ლელოც გაიტანეს, რომელთა უმრავლესობაც სტირლინგ მორტლოკმა გარდასახა.

კოტე ყორშია

AFP ბრისბეინიდან

ავსტრალიელმა სტივენ ლარქემმა სამხრეთაფრიკული დაცვა გააცუცურაკა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი ჰერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფარაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00